



**გორის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს
დადგენილება № 44
2023 წლის 8 დეკემბერი**

**„გორის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“
გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 23 დეკემბრის №43 დადგენილებაში
ცვლილებების შეტანის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა.“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის და საქართველოს ორგანული კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1. „გორის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 23 დეკემბრის №43 დადგენილებით (www.matsne.gov.ge 26/12/2022; 190020020.35.148.016728) დამტკიცებული №1 დანართი შეიცვალოს შესაბამისად ახალი №1 დანართით.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე



დავით რაზმაძე

მუხლი 2. გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

განისაზღვროს გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით:

(ათას ლარში)

დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის ფაქტი			2023 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსულობები	68,246.9	79,249.69	14,341.3	64,908.4	89,906.4	14,388.8	75,517.6
შემოსავლები	63,210.0	76,024.1	14,341.3	61,682.8	86,206.4	14,388.8	71,817.6
არაფინანსური აქტივების კლება	5,036.9	3,225.6	0.0	3,225.6	3,700.0	0.0	3,700.0
გადასახდელები	63,476.5	76,760.4	12,846.2	63,914.2	106,107.9	17,060.6	89,047.3
ხარჯები	35,238.5	45,270.4	1,708.4	43,562.0	61,664.7	4,244.9	57,419.8
არაფინანსური აქტივების ზრდა	27,848.2	31,069.6	11,137.8	19,931.8	42,133.2	12,815.7	29,317.5
ვალდებულებების კლება	389.8	420.4	0.0	420.4	2,310.0	0.0	2,310.0
ნაშთის ცვლილება	4,770.4	2,489.3	1,495.1	994.2	-16,201.5	-2,671.8	-13,529.7

მუხლი 3. გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

განისაზღვროს გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 86 206,4 ათასი ლარის ოდენობით:

(ათას ლარში)

დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის ფაქტი			2023 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	63,210.0	76,024.1	14,341.3	61,682.8	86,206.4	14,388.8	71,817.6
გადასახადები	42,569.8	53,997.4	0.0	53,997.4	60,913.2	0.0	60,913.2
გრანტები	13,407.2	14,341.3	14,341.3	0.0	15,293.3	14,388.8	904.5
სხვა შემოსავლები	7,233.0	7,685.4	0.0	7,685.4	9,999.9	0.0	9,999.9

მუხლი 4. გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები

განისაზღვროს გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები 60 913,2 ათასი ლარის ოდენობით:

(ათას ლარში)

დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის ფაქტი		2023 წლის გეგმა	
		სულ	მათ შორის	სულ	მათ შორის

			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
გადასახადები	42,569.8	53,997.4	0.0	53,997.4	60,913.2	0.0	60,913.2
დამატებული ღირებულების გადასახადი	37,111.9	48,003.9	0.0	48,003.9	54,583.2		54,583.2
ქონების გადასახადი	5,458.0	5,993.5	0.0	5,993.5	6,330.0	0.0	6,330.0
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	3,510.9	3,899.3	0.0	3,899.3	4,370.0		4,370.0
უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	3.9	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	103.6	142.6	0.0	142.6	172.0	0.0	172.0
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	919.7	901.8	0.0	901.8	952.0	0.0	952.0
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	919.9	1,049.7	0.0	1,049.7	836.0	0.0	836.0

მუხლი 5. გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები

განისაზღვროს გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 15 293,3 ათასი ლარის ოდენობით:

(ათას ლარებში)

დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის ფაქტი	2023 წლის გეგმა
გრანტები	13,407.2	14,341.3	15,293.3
საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და სხვა ქვეყნის მთავრობიდან მიღებული გრანტები	252.8	0.0	324.5
სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერები	13,154.3	14,341.3	14,968.8
ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები	595.6	1,434.3	2,807.2
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	595.6	1,253.5	2,227.2
ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის და სხვა მიმდინარე ღონისძიებების დასაფინანსებლად	0.0	180.8	580.0
ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	12,558.7	12,907.0	12,161.6
რეგიონების ფონდის პირველადი განაწილება	12,308.7	10,671.3	10,423.5
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	250.0	1,596.0	1,596.0
მაღალმთიანი დასახლების განვითარების ფონდიდან გამოყოფილი თანხები	0.0	639.7	142.2

მუხლი 6. გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 9 999,9 ათასი ლარის ოდენობით:

(ათას ლარში)

დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის ფაქტი	2023 წლის გეგმა
სხვა შემოსავლები	7,233.0	7,685.4	9,999.9
შემოსავლები საკუთრებიდან	1,851.9	2,533.5	2,134.0
პროცენტები	1,215.5	1,831.2	1,404.0

დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის ფაქტი	2023 წლის გეგმა
რენტა	636.4	702.3	730.0
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	183.4	197.1	200.0
შემოსავალი მიწის იჯარიდან მართვაში (უზურფრუქტი, გირავნობა და სხვა) გადასაცემად	453.0	505.1	530.0
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	681.0	848.2	1,712.9
ადმინისტრაციული მოსაკრებელი და გადასახდელები	566.7	742.0	1,612.0
სანებართვო მოსაკრებელი	96.2	127.3	550.0
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	2.2	4.8	2.0
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	109.2	178.2	160.0
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	359.2	431.7	900.0
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	114.2	106.2	100.9
შემოსავლები მომსახურების გაწვიდან	114.2	106.2	100.9
ჯარიმები, სანქციები და საურავები	4,419.7	4,032.0	5,870.0
ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარეშე	280.5	195.5	283.0
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	0.0	76.3	0.0

მუხლი 7. გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 61 664,7 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

(ათას ლარში)

დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის ფაქტი			2023 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
ხარჯები	35,238.5	45,270.4	1,708.4	43,562.0	61,664.7	4,244.9	57,419.8
შრომის ანაზღაურება	4,015.7	5,229.9	152.7	5,077.2	6,316.7	170.0	6,146.7
საქონელი და მომსახურება	4,882.3	5,677.2	1,235.0	4,442.3	8,403.6	1,827.0	6,576.6
პროცენტი	908.4	1,611.6	0.0	1,611.6	1,599.0	0.0	1,599.0
სუბსიდიები	21,382.5	27,425.4	134.8	27,290.6	36,128.2	378.9	35,749.3
გრანტები	548.8	880.0	0.0	880.0	185.1	0.0	185.1
სოციალური უზრუნველყოფა	1,667.2	2,542.3	1.8	2,540.5	3,418.0	61.4	3,356.6
სხვა ხარჯები	1,833.5	1,904.0	184.1	1,719.8	5,614.2	1,807.6	3,806.6

მუხლი 8. გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 38 433,2 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) განისაზღვროს გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 42 133,2 ათასი ლარის ოდენობით თანდართული რედაქციით:

(ათას ლარში)

კოდი	დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის ფაქტი	2023 წლის გეგმა
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	44.1	316.4	636.2
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	24,233.0	27,813.1	39,107.3
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	100.5	118.9	67.3
04 00	განათლება	3,190.1	1,644.2	1,753.6
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	6.9	96.3	124.0
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	49.8	92.8	216.2
07 00	ეკონომიკური განვითარება	223.8	987.9	228.6
	სულ ჯამი	27,848.2	31,069.6	42,133.2

ბ) განისაზღვროს გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 3 700,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

(ათას ლარში)

დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის ფაქტი	2023 წლის გეგმა
არაფინანსური აქტივების კლება	5,036.9	3,225.6	3,700.0
ძირითადი აქტივები	611.7	324.1	160.0
არაწარმოებული აქტივები	4,425.2	2,901.4	3,540.0
მიწა	4,425.2	2,901.4	3,540.0

მუხლი 9. გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში, თანდართული რედაქციით:

(ათას ლარში)

ფუნქცი კოდი	დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის ფაქტი	2023 წლის გეგმა
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	6,735.4	9,072.8	11,575.8
7011	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	5,422.3	7,350.2	9,376.2
70111	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	5,422.3	7,350.2	9,273.6
70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	0.0	0.0	102.6
7013	საერთო დანიშნულების მომსახურება	993.1	1,647.4	1,612.0
70133	საერთო დანიშნულების სხვა მომსახურება	993.1	1,647.4	1,612.0
7018	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში	320.1	75.2	587.6

ფუნქციური კოდი	დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის ფაქტი	2023 წლის გეგმა
702	თავდაცვა	163.0	207.4	244.0
704	ეკონომიკური საქმიანობა	19,757.7	26,144.9	40,225.9
7042	სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა	83.0	165.6	1.4
70421	სოფლის მეურნეობა	83.0	165.6	1.4
7045	ტრანსპორტი	17,230.1	22,644.0	33,419.1
70451	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	17,230.1	22,644.0	33,419.1
7049	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკის სფეროში	2,444.6	3,335.3	6,805.3
705	გარემოს დაცვა	5,386.4	5,188.3	5,070.1
7051	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	2,631.4	3,363.8	3,868.0
7052	ჩამდინარე წყლების მართვა	1,172.5	95.5	42.4
7054	ბიომრავალფეროვნებისა და ლანდშაფტის დაცვა	1,582.6	1,729.0	1,159.6
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	10,305.8	11,643.3	14,827.9
7061	ბინათმშენებლობა	0.0	0.0	1,800.0
7062	კომუნალური მეურნეობის განვითარება	304.9	457.4	2,731.0
7063	წყალმომარაგება	6,361.2	6,132.4	5,272.1
7064	გარე განათება	2,084.0	3,532.0	2,852.6
7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	1,555.7	1,521.4	2,172.2
707	ჯანმრთელობის დაცვა	472.1	591.6	772.0
7072	ამბულატორიული მომსახურება	328.1	414.8	551.0
7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	144.0	176.8	221.0
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	6,521.5	8,189.9	10,480.9
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	3,698.1	4,395.9	6,243.3
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	2,643.2	3,281.8	3,922.0
7083	ტელე-რადიო მაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	70.8	72.0	96.0
7084	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	109.5	440.2	219.6
709	განათლება	11,808.1	12,353.8	16,254.9
7091	სკოლამდელი აღზრდა	10,593.6	11,009.8	14,453.3
7092	ზოგადი განათლება	1,214.5	1,344.0	1,801.6
70923	საშუალო ზოგადი განათლება	1,214.5	1,344.0	1,801.6
710	სოციალური დაცვა	1,936.7	2,947.9	4,346.4
7101	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	1,124.6	1,710.6	2,434.6
71011	ავადმყოფთა სოციალური დაცვა	723.0	1,239.2	1,787.6
71012	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	401.6	471.4	647.0
7102	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	6.0	5.0	7.0
7103	მარჩენალდაკარგულ პირთა სოციალური დაცვა	37.0	38.0	40.0
7104	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	270.2	411.0	566.4
7106	საცხოვრებლით უზრუნველყოფა	124.0	319.9	620.0
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	374.8	463.4	678.5
	სულ ჯამი	63,086.7	76,340.0	103,797.9

მუხლი 10. გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საოპერაციო და მთლიანი სალდო

განისაზღვროს გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საოპერაციო და მთლიანი სალდო თანდართული რედაქციით:

(ათას ლარში)

დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის ფაქტი	2023 წლის გეგმა
საოპერაციო სალდო	27,971.5	30,753.7	24,541.7
მთლიანი სალდო	5,160.2	2,909.7	-13,891.5

მუხლი 11. გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

1. განისაზღვროს გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება -16 201,5 ათასი ლარის ოდენობით.

2. განისაზღვროს გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების კლება 16 201,5 ათასი ლარის ოდენობით.

(ათას ლარში)

დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის ფაქტი	2023 წლის გეგმა
ფინანსური აქტივების ცვლილება	4,770.4	2,489.3	-16,201.5
ზრდა	5,401.9	2,489.3	0.0
ვალუტა და დეპოზიტები	5,401.9	2,489.3	0.0
კლება	631.5	0.0	16,201.5
ვალუტა და დეპოზიტები	631.5	0.0	16,201.5

ფინანსური აქტივების კლება 16 201,5 ათასი ლარის ოდენობით წარმოადგენს მუნიციპალიტეტის სახაზინო არნგარიშზე არსებულ თავისუფალ ნაშთს, რომლის გამოყენებაც მოხდება 2023 წლის განმავლობაში.

მუხლი 12. გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

განისაზღვროს გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება -2 310,0 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

(ათას ლარში)

დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის ფაქტი	2023 წლის გეგმა
ვალდებულებების ცვლილება	-389.8	-420.4	-2,310.0
ზრდა	0.0	0.0	0.0
საშინაო	0.0	0.0	0.0
კლება	389.8	420.4	2,310.0
საშინაო	389.8	420.4	2,310.0

ვალდებულებების ცვლილება წარმოადგენს საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდიდან 2016-2020 წლებში მიღებული სესხის ძირითადი თანხის დაფარვას. 2023 წლის 01

იანვრის მდგომარეობით დასაფარი სესხის ოდენობა შეადგენს 14 427,1 ათ. ლარს. აქედან 2023 წლის განმავლობაში დაფარვა განხორციელდება 2 310,0 ათ. ლარის ოდენობით.

მუხლი 13. გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები, პროგრამები, ქვეპროგრამები

ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების აღწერა, მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

პროგრამული კოდი	დასახელება	2023 წელი
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	26,168.1
02 01 01	გზების მოვლა-შენახვა	1,764.6
02 01 02	გზების მშენებლობა-რეაბილიტაცია	23,470.1
02 01 03	საგზაო ნიშნებისა და მონიშვნების მოწყობა	239.1
02 01 04	გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოსაწყობი ვიდეო სამეთვალყურეო სისტემის შექმნა და მოვლა-შენახვა	694.4
02 02	გარე განათება	2,852.6
02 02 01	გარე განათების ქსელის მოვლა-შენახვა	345.0
02 02 02	გარე განათების ელექტროენერჯის ღირებულება	1,760.0
02 02 03	გარე განათების ქსელის მოწყობა-რეაბილიტაცია	747.6
02 03	წყლის სისტემის განვითარება	5,316.0
02 03 01	სასმელი წყლის სისტემების რეაბილიტაცია	3,917.7
02 03 02	სასმელი წყლის ღირებულების ანაზღაურება	260.0
02 03 03	წყლის სისტემის მოვლა-პატრონობა	1,094.4
02 03 04	საკანალიზაციო და სანიაღვრე სისტემის მოწყობა და რეაბილიტაცია	42.4
02 03 05	სარწყავი არხების მოწყობა-რეაბილიტაცია	1.4
02 04	საბინაო ფონდის განვითარებისა და ინფრასტრუქტურული პროექტების თანადაფინანსება	4,715.6
02 04 01	ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების და ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების ბინათმესაკუთრეთა გაერთიანებების თანადაფინანსება	2,731.0
02 04 02	ინფრასტრუქტურული პროექტების თანადაფინანსება	184.6
02 04 03	გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ზარდიაანთკარში 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შედეგად დაზიანებული საცხოვრებელი სახლების აღდგენა	1,800.0
02 05	კეთილმოწყობა, სარეკრეაციო და სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარება	3,471.3
02 05 01	სკვერების, პარკების და გაზონების რეაბილიტაცია	370.6
02 05 02	სპორტული მოედნების მოწყობა და რეაბილიტაცია	473.6
02 05 03	მუნიციპალური შენობების რეაბილიტაცია	1,440.5
02 05 04	კეთილმოწყობის ღონისძიებები	698.0
02 05 06	საახალწლოდ ქალაქგაფორმება	223.0
02 05 07	მოსაცდელების მოწყობა	256.6
02 05 08	სასაფლაოების შემოღობვა	8.9
02 06	ინფრასტრუქტურული პროექტების მომსახურების უზრუნველყოფა	2,389.0
02 06 01	საპროექტო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურება	1,315.2
02 06 02	დეველპერი აქტების, პროექტების და ხარჯთაღრიცხვების მომსახურების დაფინანსება	357.8
02 06 03	სპეციალური დანიშნულების ინვენტარის და სატრანსპორტო საშუალებების შექმნა	716.0
02 07	სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტები	2,172.2

02 08	სამოქალაქო ინიციატივების განხორციელების ხელშეწყობა	3,111.5
02 09	სტიქიის შედეგების ლიკვიდაცია	144.8
სულ ინფრასტრუქტურის განვითარება		50,341.1

პროგრამის დასახელება	კოდი	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	დაფინანსება ათ. ლარში
	02 01		26 168,1
პროგრამის განმახორციელებელი	გორის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია გზების მოვლა-შენახვა, მშენებლობა-რეაბილიტაცია და საგზაო ნიშნების და მონიშვნების მოწყობა. მიზანი - საგზაო ინფრასტრუქტურის გამართული ფუნქციონირება და ტრანსპორტის შეუფერხებელი გადაადგილება.		
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტში მოწესრიგებულია საგზაო ინფრასტრუქტურა და შექმნილია პირობები ტრანსპორტისა და ქვეითად მოსიარულეთა, შშმ პირთა და საბავშვო ეტლით მოსარგებლეთა უსაფრთხო გადაადგილებისთვის.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	გზების მოვლა-შენახვა	დაფინანსება ათ. ლარში
	02 01 01		1 764,6
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	გორის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ასფალტირებული ქუჩების დაზიანებული მონაკვეთების სრული კაპიტალური აღდგენა-რეაბილიტაცია უპირატესად იმ უბნებში, სადაც დასრულდა მიწისქვეშა კომუნალური ინჟინერიის რეაბილიტაცია. კერძოდ, გათვალისწინებულია: არსებულ ქუჩებში ასფალტ-ბეტონის საფარის და ტროტუარის ფილების დაგება, ბორდიურების მოწყობა, ბეტონის საფარის დაგება. მიზანი - გზების მიმდინარე შეკეთება საექსპლოატაციო ვადის გახანგრძლივებისა და უსაფრთხო გადაადგილებისთვის.		
მოსალოდნელი შედეგი	მოხრეშილ-მოშანდაკეული გზების საფარიანი გზები. ორმოულად შეკეთებული გზები. მოსახლეობის მოთხოვნების დაკმაყოფილების საკმარისი დონე.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	გზების მშენებლობა და რეაბილიტაცია	დაფინანსება ათ. ლარში
	02 01 02		23 470,1
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	გორის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია საკომუნიკაციო საშუალებების, კერძოდ გზების მოვლა-შენახვა და განვითარება; ასფალტირებული ქუჩების დაზიანებული მონაკვეთების აღდგენა-რეაბილიტაცია; ორმოული შეკეთება; სოფლებში შიდასაუბნო გზების მოწესრიგება; გზების საფარის მოწესრიგება და მოხრეშვა-მოშანდაკება; გზისპირა კიუვეტების გაწმენდა გრეიდერით; გაბიონების მოწყობა; ორმოების შეკეთება ცხელი ასფალტ-ბეტონით; სავალი ნაწილის შეკეთება ქვიშა-ხრეშოვანი ნარევით. მიზანი - გზების მიმდინარე შეკეთება საექსპლოატაციო ვადის გახანგრძლივებისა და უსაფრთხო გადაადგილებისთვის. გაუმართავი საავტომობილო გზის მიზეზით გამოწვეული ავტოსაგზაო შემთხვევების რაოდენობის მაქსიმალურად შემცირება.		
მოსალოდნელი შედეგი	რეაბილიტირებულია ცალკეული უბნების გზები და ქუჩები, გაფართოებულია ქალაქის საგზაო ქსელი.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	საგზაო ნიშნების და მონიშვნების მოწყობა	დაფინანსება ათ. ლარში
	02 01 03		239,1
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	გორის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია საგზაო მოძრაობის ორგანიზებისათვის საჭირო ინვენტარის, ტექნიკური საშუალებების მოვლა-შენახვა; ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე ჰორიზონტალური და ვერტიკალური მონიშვნების დახაზვა; ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე საგზაო ნიშნების მონტაჟი-დემონტაჟი; სიჩქარის		

	<p>შემზღვეველი ხელოვნური უსწორმასწორობების მოწყობა; საგზაო მოძრაობის ორგანიზების პროცესში აქტიური მონაწილეობის მიღება.</p> <p>მიზანი - გორის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში საგზაო მოძრაობის უსაფრთხოებისათვის ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებათა უზრუნველყოფა.</p>
მოსალოდნელი შედეგი	<p>ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე ორგანიზებულია საგზაო მოძრაობა და შექმნილია პირობები ავტოტრანსპორტისა და ქვეითად მოსიარულეთა უსაფრთხო გადაადგილებისათვის.</p>

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოსაწყობი ვიდეო-სამეთვალყურეო სისტემის შექმნა და მოვლა-შენახვა	დაფინანსება ათ. ლარში
	02 01 04		694,4
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	გორის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>საგზაო უსაფრთხოების მიზნით გარე გამოყენების, სახელმწიფო სანომრე ნიშნის ამომცნობ პროგრამასთან თავსებადი ვიდეო კამერების შექმნა-დამონტაჟება, მოვლა და უსაფრთხო საგზაო მოძრაობის ორგანიზების პროცესში აქტიური მონაწილეობის მიღება.</p> <p>მიზანი - გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადაჭარბებული სიჩქარით და დარღვევით მოძრაობის შემთხვევების აღმოფხვრისათვის ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებათა უზრუნველყოფა.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	შექმნილია, დამონტაჟებული და ექსპლუატაციაში შესული კამერები.		

პროგრამის დასახელება	კოდი	გარე განათება	დაფინანსება ათ. ლარში
	02 02		2 852,6
პროგრამის განმახორციელებელი	გორის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცით მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური; ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სააგენტო		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ღამის პერიოდში მუნიციპალიტეტში უსაფრთხო გადაადგილებისთვის და კომფორტული გარემოს შექმნისთვის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გარე და დეკორატიული განათების ქსელის ფუნქციონირებას. პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია გარე განათების ქსელის მოვლა-შენახვა და გარე განათების ქსელის მიერ მოხმარებული ელექტროენერჯის ხარჯის ანაზღაურება.</p> <p>მიზანი - მოწესრიგებული განათების სისტემა. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, წლის განმავლობაში, ნებისმიერ კლიმატურ პირობებში გარე და დეკორატიული განათების შეუფერხებელი ფუნქციონირება.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	მოწესრიგებულია განათების სისტემა. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, წლის განმავლობაში, ნებისმიერ კლიმატურ პირობებში გარე და დეკორატიული განათება შეუფერხებლად ფუნქციონირებს.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	გარე განათების ქსელის მოვლა-შენახვა	დაფინანსება ათ. ლარში
	02 02 01		345,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სააგენტო		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ღამის პერიოდში მუნიციპალიტეტში უსაფრთხო გადაადგილებისთვის და კომფორტული გარემოს შექმნისთვის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გარე და დეკორატიული განათების ქსელის ფუნქციონირებას. დღეის მდგომარეობით გარე განათების ქსელი მოიცავს მთლიანად ქალაქს და 80 ადმინისტრაციულ ერთეულს (დასახლებულ პუნქტს). გარე განათების ქსელით მოცულია მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის დაახლოებით 80-90%. გარე განათების სისტემა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოიცავს 17 000 განათების და ელექტროგაყვანილობის ბოძს, 17 000 სანათ წერტილებს, 330 000 გრძ/მ სადენს და სხვადასხვა დამხმარე მასალებს.</p> <p>პროგრამის ფარგლებში აგრეთვე ხორციელდება შადრევნების ელექტრო სისტემის მოვლა.</p> <p>მიზანი - მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წლის განმავლობაში, ნებისმიერ კლიმატურ პირობებში უზრუნველყოფილი გარე და დეკორატიული განათების შეუფერხებელი ფუნქციონირება.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	გარე და დეკორატიული განათების სისტემა გამართულად და შეუფერხებლად მუშაობს.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	გარე განათების ელექტროენერჯის ღირებულება	დაფინანსება ათ. ლარში
-------------------------	------	--	-----------------------

	02 02 02		1 760,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	გორის მუნიციპალიტეტის მერია		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამა მოიცავს გარე განათების ქსელის მიერ მოხმარებული ელექტროენერჯის ხარჯის ანაზღაურებას. მიზანი - გარე და დეკორატიული განათების უწყვეტი ფუნქციონირების უზრუნველყოფა.		
მოსალოდნელი შედეგი	უზრუნველყოფილია გარე განათების ქსელების ელ. მომარაგება.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	გარე განათების ქსელის მოწყობა-რეაბილიტაცია	დაფინანსება ათ. ლარში
	02 02 03		747,6
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	გორის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცით მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამა მოიცავს გარე განათების ქსელის მოწყობა-რეაბილიტაციის დასრულებას. მიზანი - მოწესრიგებული განათების სისტემები და მოსახლეობისათვის მუნიციპალური სერვისების მიწოდების უზრუნველყოფა.		
მოსალოდნელი შედეგი	გაუმჯობესებულია განათების სისტემები და მოსახლეობისათვის მუნიციპალური სერვისების მიწოდების უზრუნველყოფა.		

პროგრამის დასახელება	კოდი	წყლის სისტემის განვითარება	დაფინანსება ათ. ლარში
	02 03		5 316,0
პროგრამის განმახორციელებელი	გორის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცით მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური. ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სასმელი წყლის სისტემების, წყალარინების, მელიორაციის ჭაბურღილებისა და სატუმბო სადგურების სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	სოფლების წყალმომარაგების და წყლის სისტემის გამართულად ფუნქციონირების მიზნით მოხდება წყალსადენის სისტემების მოწყობა-რეაბილიტაცია. ძველი, ამორტიზირებული სისტემების აღდგენა და ახლის მშენებლობა. განხორციელდება გორის მუნიციპალიტეტის სასმელი წყლის სისტემების, ჭაბურღილების, სატუმბო სადგურების, სარწყავი წყლის სისტემების ჭაბურღილების და რკ. სადგურის დასახლებაში წყალარინების ქსელის მონიტორინგი, ოპერატიულად აღმოიფხვრება ყველა დაზიანება. განხორციელდება გამწმენდი ნაგებობის გარე პერიმეტრის კეთილმოწყობა და სამსახურის ზედამხედველობა გამწმენდი ნაგებობის, მასში განთავსებულ ტუმბოებსა და სხვადასხვა აგრეგატებზე მათი სრულყოფილი ფუნქციონირების მიზნით. შემოწმდება წყლის ხარისხი და საჭიროების შემთხვევაში მოხდება სასმელი წყლის გაუსწვნილება. მიზანი - მდგრადი კომუნალური სისტემის შექმნა.		
მოსალოდნელი შედეგი	გაუმჯობესებული კომუნალური სისტემა, მოსახლეობისთვის შექმნილი ეკოლოგიურად სუფთა გარემო და საცხოვრებელი პირობები. რეაბილიტირებულია წყლის, წყალარინებისა და სანიაღვრე სისტემის ინფრასტრუქტურა, უზრუნველყოფილია უწყვეტი და მოთხოვნის შესაბამისი წყალმომარაგება.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სასმელი წყლის სისტემების რეაბილიტაცია	დაფინანსება ათ. ლარში
	02 03 01		3 917,7
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	გორის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცით მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	სოფლების წყალმომარაგების და წყლის სისტემის გამართულად ფუნქციონირების მიზნით მოხდება წყალსადენის სისტემების მოწყობა-რეაბილიტაცია. ძველი, ამორტიზირებული სისტემების აღდგენა და ახლის მშენებლობა. მიზანი - გორის მუნიციპალიტეტში მდგრადი სასმელი წყლის სისტემის შექმნა და შეუფერხებელი მიწოდება.		
მოსალოდნელი შედეგი	გამართული წყალმომარაგების სისტემა. გაუმჯობესებულია მოსახლეობისთვის სასმელი წყლით უზრუნველყოფის საკითხი.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სასმელი წყლის ღირებულების ანაზღაურება	დაფინანსება ათ. ლარში
	02 03 02		260,0

ქვეპროგრამის განმახორციელებელი	გორის მუნიციპალიტეტის მერია
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	სასმელი წყლის სოკოვებზე და შადრევნებზე დახარჯული წყლის ღირებულების და დევნილთა დასახლებებში სასმელი წყლის ჭაბურღილებისა და წყლის საქაჩების ფუნქციონირებისათვის საჭირო ელ.ენერჯის ღირებულების ანაზღაურება. მიზანი - დახარჯული წყლისა და ამ მიზნისათვის დახარჯული ელ. ენერჯის ღირებულების ანაზღაურება.
მოსალოდნელი შედეგი	უზრუნველყოფილია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული წყალმომარაგების სისტემის, სასმელი წყლის სოკოვებისა და შადრევნების გამართული ფუნქციონირება.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	წყლის სისტემების მოვლა-პატრონობა	დაფინანსება ათ. ლარში
	02 03 03		1 094,4
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სასმელი წყლის სისტემების, წყალარინების, მელიორაციის ჭაბურღილებისა და სატუმბო სადგურების სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამის ფარგლებში განხორციელდება გორის მუნიციპალიტეტის სოფლების სასმელი წყლის სისტემების, ჭაბურღილების და სატუმბო სადგურების მონიტორინგი, ოპერატიულად აღმოფხვრება ყველა დაზიანება, შემოწმდება წყლის ხარისხი და საჭიროების შემთხვევაში მოხდება სასმელი წყლის გაუსნებოვნება, ქ. გორში, რკინიგზის სადგურის დასახლებაში და კარაღეთის დევნილთა დასახლებაში კანალიზაციის გამწმენდი ნაგებობის წყალარინების ქსელის მონიტორინგი, დაზიანებების ოპერატიულად აღმოფხვრა, კეთილმოეწყობა გამწმენდი ნაგებობის გარე პერიმეტრი, ასევე სამსახურის მკაცრი ზედამხედველობის ქვეშ იფუნქციონირებს გამწმენდი ნაგებობა, მასში განთავსებული ტუმბოები და სხვადასხვა აგრეგატები.</p> <p>მიზანი - გორის მუნიციპალიტეტში მდგრადი სასმელი წყლის სისტემის შექმნა და შეუფერხებელი მიწოდება, მდგრადი სარწყავი წყლის სისტემის ჭაბურღილების შეუფერხებელი მუშაობა; ასევე ქ.გორში, რკინიგზის სადგურის და კარაღეთის დევნილთა დასახლებაში წყალარინების ქსელის შეუფერხებელი ფუნქციონირება და გამწმენდი ნაგებობის მოვლა-პატრონობა.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	გაუმჯობესებულია მოსახლეობისათვის წყალმომარაგების მომსახურება და სარწყავი წყლით მომარაგება. ქ. გორში, რკინიგზის სადგურისა და კარაღეთის დევნილთა დასახლებაში გაუმჯობესებულია მოსახლეობისათვის წყალარინების სისტემის მომსახურება.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	საკანალიზაციო და სანიაღვრე სისტემის მოწყობა და რეაბილიტაცია	დაფინანსება ათ. ლარში
	02 03 04		42,4
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	გორის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცით მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროექტის ფარგლებში განხორციელდება ქ.გორში ე.წ. „წმინდაწყლის“ დასახლებაში, გაუქმებული №2 სათავის ტერიტორიაზე ახალი გრუნტის წყლების განმტვირთველი სადრენაჟე სისტემის მოწყობის დასრულება და გამწმენდი ნაგებობებზე დახარჯული ელექტროენერჯის ღირებულების დაფარვა.</p> <p>მიზანი - ქალაქის კომუნალური სისტემის მოწესრიგება.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	მოწყობილია სანიაღვრე სისტემა.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სარწყავი არხების მოწყობა-რეაბილიტაცია	დაფინანსება ათ. ლარში
	02 03 05		1,4
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	გორის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცით მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შიდა სარწყავი არხების მოწყობა-რეაბილიტაციის დასრულება.</p> <p>მიზანი - გამართული შიდა სარწყავი სისტემები.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	გაუმჯობესებული კომუნალური სისტემა, მოსახლეობისთვის შექმნილი ეკოლოგიურად სუფთა გარემო და საცხოვრებელი პირობები.		

პროგრამის დასახელება	კოდი	საბინაო ფონდის განვითარებისა და ინფრასტრუქტურული პროექტების თანადაფინანსება	დაფინანსება ათ. ლარში
	02 04		4 715,6

პროგრამის განმახორციელებელი	გორის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცით მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტიდან არაუმეტეს 90%-ის ფარგლებში თანადაფინანსებას მიიღებს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა/არარეგისტრირებული კავშირი, რომელიც თვითონაც მოახდენს პროექტის განხორციელებაში მონაწილეობას მატერიალური, ტექნიკური, შრომითი ან ადამიანური რესურსით. ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობამ/არარეგისტრირებულმა კავშირმა შესაძლებელია მოახდინოს თანადაფინანსება მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების, ასევე ორ ან ორზე მეტ მომიჯნავე მიწის ნაკვეთზე არსებული ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების სახურავების, სასმელი წყლის და საკანალიზაციო ქსელის, ლიფტების, ფასადის, მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსების სადარბაზოების და ეზოების კეთილმოწყობის რეაბილიტაციის პროექტის საერთო ღირებულების მინიმუმ 10%-ით.</p> <p>მიზანი - ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების საერთო საკუთრების მოვლა-პატრონობის ხელშეწყობა. ქალაქის საბინაო ფონდის ინფრასტრუქტურის განვითარება.</p>
მოსალოდნელი შედეგი	გაუმჯობესებულია საბინაო ფონდის ინფრასტრუქტურა და შექმნილია უსაფრთხო საცხოვრებელი გარემო. მოწესრიგებული, რეაბილიტირებული და კეთილმოწყობილი ინფრასტრუქტურა.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების და ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მესაკუთრეთა გაერთიანებების თანადაფინანსება	დაფინანსება ათ. ლარში
	02 04 01		2 731,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	გორის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცით მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტიდან არაუმეტეს 90%-ის ფარგლებში თანადაფინანსებას მიიღებს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა/არარეგისტრირებული კავშირი, რომელიც თვითონაც მოახდენს პროექტის განხორციელებაში მონაწილეობას მატერიალური, ტექნიკური, შრომითი ან ადამიანური რესურსით. ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობამ/არარეგისტრირებულმა კავშირმა შესაძლებელია მოახდინოს თანადაფინანსება მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების, ასევე ორ ან ორზე მეტ მომიჯნავე მიწის ნაკვეთზე არსებული ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების სახურავების, სასმელი წყლის და საკანალიზაციო ქსელის, ლიფტების, ფასადის, მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსების სადარბაზოების და ეზოების კეთილმოწყობის რეაბილიტაციის პროექტის საერთო ღირებულების მინიმუმ 10%-ით.</p> <p>მიზანი - ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების საერთო საკუთრების მოვლა-პატრონობის ხელშეწყობა. ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ინსტიტუტის განვითარება და სამოქალაქო პასუხისმგებლობის ამაღლება.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	გაუმჯობესებულია საბინაო ფონდის ინფრასტრუქტურა და შექმნილია უსაფრთხო საცხოვრებელი გარემო.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ინფრასტრუქტურული პროექტების თანადაფინანსება	დაფინანსება ათ. ლარში
	02 04 02		184,6
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	გორის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცით მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტიდან არაუმეტეს 90%-ის ფარგლებში თანადაფინანსებას მიიღებს ყველა ის ორგანიზაცია (საბიუჯეტო (საბავშო ბაგა-ბაღები, ბიბლიოთეკები, სკოლები და ა.შ.) არასამთავრობო, სათემო, არარეგისტრირებული კავშირი, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი და სხვა) (შემდგომში ორგანიზაცია), რომელიც საკუთარი სახსრებით ან დონორი ორგანიზაციებიდან გრანტის მიღების გზით მოახდენს წილობრივ თანადაფინანსებას და პროექტის განხორციელებით ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ინფრასტრუქტურული მდგომარეობის გაუმჯობესებას.</p> <p>მიზანი - მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ინფრასტრუქტურული მდგომარეობის გაუმჯობესება.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურული მდგომარეობა და წარმატებით განხორციელებული პროექტები.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ზარდიაანთკარში 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შედეგად დაზიანებული საცხოვრებელი სახლების აღდგენა	დაფინანსება ათ. ლარში
	02 04 03		1 800,0

ქვეპროგრამის განმახორციელებელი	გორის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცით მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ზარდიანთკარში 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შედეგად დაზიანებული 28 საცხოვრებელი სახლის აღდგენა. მიზანი - მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ინფრასტრუქტურული მდგომარეობის გაუმჯობესება.
მოსალოდნელი შედეგი	გაუმჯობესებულია საბინაო ფონდის ინფრასტრუქტურა და შექმნილია უსაფრთხო საცხოვრებელი გარემო

პროგრამის დასახელება	კოდი	კეთილმოწყობა, სარეკრეაციო და სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარება	დაფინანსება ათ. ლარში
	02 05		3 471,3
პროგრამის განმახორციელებელი	გორის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცით მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური	ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სააგენტო	
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სარეკრეაციო (მათ შორის ტურისტული დანიშნულების) ინფრასტრუქტურის მოწყობა, მოვლა-პატრონობა და განვითარება. პარკების, სკვერებისა და მოედნების ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და მშენებლობა. ქალაქის გაფორმების ღონისძიებები. მიზანი - მუნიციპალიტეტის სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფა და სერვისების განვითარება. მოსახლეობის სპორტული განვითარებისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების ხელშეწყობა. ეკოლოგიურად სუფთა გარემოს უზრუნველყოფა, სარეკრეაციო და გამწვანებული ტერიტორიების გაფართოება.		
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტში მოწესრიგებულია საზოგადოებრივი დანიშნულების ღია სივრცეები და შენობა-ნაგებობები და გაუმჯობესებულია საცხოვრებელი გარემო.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სკვერების, პარკების და გაზონების რეაბილიტაცია	დაფინანსება ათ. ლარში
	02 05 01		370,6
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	გორის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცით მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამა ითვალისწინებს ახალი ინფრასტრუქტურული ობიექტების მოწყობას და ტერიტორიის კეთილმოწყობას. მიზანი - ეკოლოგიურად სუფთა გარემოს უზრუნველყოფა, სარეკრეაციო და გამწვანებული ტერიტორიების გაფართოება.		
მოსალოდნელი შედეგი	მოწყობილია ღია დასასვენებელი სივრცეები და სხვადასხვა სოციალური ჯგუფების წარმომადგენლებისთვის პარკებსა და სკვერებში შექმნილია თანაბარხელმისაწვდომი გარემო დასვენებისა და გართობისთვის.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სპორტული მოედნების მოწყობა და რეაბილიტაცია	დაფინანსება ათ. ლარში
	02 05 02		473,6
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	გორის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცით მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სპორტული მოედნების მოწყობა-რეაბილიტაცია მიზანი - მოსახლეობის სპორტული განვითარებისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების ხელშეწყობა.		
მოსალოდნელი შედეგი	უზრუნველყოფილია მუნიციპალური ქონების დაცვა.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	მუნიციპალური შენობების რეაბილიტაცია	დაფინანსება ათ. ლარში
	02 05 03		1 440,5
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	გორის მუნიციპალიტეტის მერია		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამა ითვალისწინებს სოფელ ტინისხიდის ამბულატორიის დაცვის ხარხების ანაზღაურებას. მიზანი - მუნიციპალური შენობის დაცვა.		

მოსალოდნელი შედეგი	რეაბილიტირებული სპორტული ობიექტები.
--------------------	-------------------------------------

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	კეთილმოწყობის ღონისძიებები	დაფინანსება ათ. ლარში
	02 05 04		698,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სააგენტო		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სააგენტო ახორციელებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კეთილმოწყობის სამუშაოებს, კერძოდ: საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოსაცდელის აღდგენა, საფეხმავლო გზებზე დაზიანებული ბორდიურების და ფილების ამოცვლა, ქალაქში ხიდებზე მოაჯირების და ბორდიურების შეღებვა, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სკვერების მოწესრიგება (დაზიანებული სკამების და შადრევნების აღდგენა, შეღებვა), სანიაღვრე არხების სარეაბილიტაციო სამუშაოები, რაიონებში სანიაღვრე არხების წმენდითი სამუშაოები, მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული შენობების და სოციალურად დაუცველი მოქალაქეების საცხოვრებელი სახლების სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარება, მანქანის სავალ ნაწილზე გადასასვლელების დახაზვითი სამუშაოები, ქალაქის სკვერებში გასარწყავების ბუნიკების მოწყობა და სხვა.</p> <p>მიზანი - მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაზიანებული ინფრასტრუქტურის შეკეთების დროული უზრუნველყოფა.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოწესრიგებულია საზოგადოებრივი სივრცეების ინფრასტრუქტურა.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	საახალწლოდ ქალაქგაფორმება	დაფინანსება ათ. ლარში
	02 05 06		223,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	გორის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცით მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამა ითვალისწინებს საახალწლო მორთულობისთვის გასანათებელი მოწყობილობების შექმნას. განხორციელდება ქალაქის მხატვრულ დონეზე გაფორმება, საახალწლო ილუმინაციების მონტაჟი, ექსპლოატაცია და დემონტაჟი, სასცენო დეკორაციებით მომსახურება და სხვა. ნამვის ხის მონტაჟი, ნამვის ხის გაწყობა-გაფორმება საახალწლო აქსესუარებით, ქუჩების გაფორმება საახალწლო აქსესუარებით. საახალწლო ღონისძიებების დასრულების შემდგომ მათი დემონტაჟი.</p> <p>მიზანი - ქალაქში სადღესასწაულო გარემოს შექმნა.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	მოსახლეობისთვის შექმნილია სადღესასწაულო განწყობა.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	მოსაცდელის მოწყობა	დაფინანსება ათ. ლარში
	02 05 07		256,6
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	გორის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცით მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>მუნიციპალიტეტის სოფლებში 25 (ოცდახუთი) ერთეული ტრანსპორტის მოსაცდელის მოწყობა.</p> <p>მიზანი - მგზავრთა კომფორტული გადაადგილება.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	მოწყობილი მოსაცდელეები		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სასაფლაოების შემოღობვა	დაფინანსება ათ. ლარში
	02 05 08		8,9
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	გორის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცით მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სასაფლაოების შემოღობვა.</p> <p>მიზანი - ეკოლოგიურად სუფთა გარემოს უზრუნველყოფა.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	რეაბილიტირებული ობიექტები.		

პროგრამის დასახელება	კოდი	ინფრასტრუქტურული პროექტების მომსახურების უზრუნველყოფა	დაფინანსება ათ. ლარში
	02 06		2 389,0

პროგრამის განმახორციელებელი	გორის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცით მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური და გორის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახური
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია საპროექტო დოკუმენტაციის და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურება; დეფექტური აქტების, პროექტების და ხარჯთაღრიცხვების მომსახურების დაფინანსება. ასევე, პროექტების განხორციელებისას ჩატარებული სამუშაოების ხარისხის უზრუნველყოფა მათზე მუდმივი ზედამხედველობის განხორციელების გზით. მიზანი - საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის დროულად და კვალიფიციურად შედგენა და სამშენებლო და საპროექტო სამუშაოების ხარისხის უზრუნველყოფა.
მოსალოდნელი შედეგი	შექმნილია პირობები ხარისხიანი ინფრასტრუქტურული სამუშაოების განხორციელებისთვის.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	საპროექტო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურება	დაფინანსება ათ. ლარში
	02 06 01		1 315,2
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	გორის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	გორის მუნიციპალიტეტში დაგეგმილი 50 000 ლარზე მეტი ღირებულების ინფრასტრუქტურული ობიექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ინსპექტირების ანგარიშის (ექსპერტიზა) შედგენასა და სამშენებლო სამუშაოებზე საზედამხედველო მომსახურების გაწევა. მიზანი - განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების ხარისხის უზრუნველყოფა.		
მოსალოდნელი შედეგი	ინფრასტრუქტურული სამუშაოების განხორციელების მიზნით უზრუნველყოფილია პროექტების ექსპერტიზა და შესრულებული სამუშაოების ხარისხის კონტროლი.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	დეფექტური აქტების, პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების მომსახურების დაფინანსება	დაფინანსება ათ. ლარში
	02 06 02		357,8
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	გორის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცით მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გზების, ქუჩების, ტროტუარების, საყრდენი კედლების, შენობა-ნაგებობების, სოფლად წყალმომარაგების სისტემების სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების და პარკების, მოედნების, სკვერების, სპორტული მოედნების მოწყობის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება და შესაბამისი ხარჯთაღრიცხვების შედგენა. მიზანი - განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტებისათვის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის დროულად და კვალიფიციურად შედგენა.		
მოსალოდნელი შედეგი	მომზადებულია სრულყოფილი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სპეციალური დანიშნულების ინვენტარის და სატრანსპორტო საშუალებების შექმნა	დაფინანსება ათ. ლარში
	02 06 03		716,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	გორის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცით მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია სპეციალიზირებული დასუფთავების მანქანის და სატვირთო ავტომობილის შექმნა მიზანი - მუნიციპალიტეტის ტერიტორიის და ინფრასტრუქტურის სრულყოფილად მოვლა		
მოსალოდნელი შედეგი	მოვლილი და დასუფთავებული ტერიტორია და ინფრასტრუქტურა.		

პროგრამის დასახელება	კოდი	სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტები	დაფინანსება ათ. ლარში
	02 07		2 172,2
პროგრამის განმახორციელებელი	გორის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცით მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	გორის მუნიციპალიტეტის სოფლებში სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება. მიზანი - სოფლებში მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით ინფრასტრუქტურის მოწესრიგება.		

მოსალოდნელი შედეგი	სოფლებში მოწესრიგებულია ინფრასტრუქტურა.
--------------------	---

პროგრამის დასახელება	კოდი	სამოქალაქო ინიციატივების განხორციელების ხელშეწყობა	დაფინანსება ათ. ლარში
	02 08		3 111,5
პროგრამის განმახორციელებელი	გორის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცით მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის განაწილებისა და ხარჯვის პროცესში მოქალაქეების ინტერესის გათვალისწინება სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს თანამედროვე დემოკრატიული მმართველობისა და მოქალაქეთა ჩართულობისათვის. გორის მუნიციპალიტეტის მხრიდან ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი გარკვეული თანხები ადგილობრივი მოსახლეობის ინიციატივების შესაბამისად, საშუალებას მისცემს მუნიციპალიტეტის მკვიდრთ განახორციელონ მათთვის მნიშვნელოვანი პროექტები.</p> <p>მიზანი - საზოგადოების ჩართულობა მათთვის ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტის პროცესში. ამ მიზნის მისაღწევად საუკეთესო სფეროა თვითმმართველობის ფინანსური პოლიტიკის ფორმირება და მისი მეშვეობით მუნიციპალიტეტის განვითარების მიმართულებების განსაზღვრა.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	უზრუნველყოფილია მოსახლეობის ჩართულობა ადგილობრივი ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში და წარმოდგენილი ინიციატივების შესაბამისად მოწესრიგებულია ინფრასტრუქტურა.		

პროგრამის დასახელება	კოდი	სტიქიის შედეგების ლიკვიდაცია	დაფინანსება ათ. ლარში
	02 09		144,8
პროგრამის განმახორციელებელი	გორის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცით მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია სოფელ ბოშურსა და ბიისში ივნისის თვეში მომხდარი ძლიერი წვიმის დროს მოსული ნიაღვრის შედეგად დაზიანებული და განადგურებული ხიდ-ბოგირების აღდგენითი სამუშაოების განხორციელება.</p> <p>მიზანი - სტიქიით მიყენებული ზიანის ლიკვიდაცია.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	ლიკვიდირებულია სტიქიით მიყენებული ზიანი.		

პროგრამული კოდი	დასახელება	2023 წელი
03 01	დასუფთავება და ნარჩენების მართვა	3,868.0
03 01 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	3,868.0
03 02	რეკრეაციული სივრცეების მოვლა-პატრონობა	789.0
03 02 01	პარკების, სკვერების, გაზონების და მწვანე ნარგავების მოვლა-შენახვა	789.0
სულ		4,657.0
დასუფთავება და გარემოს დაცვა		

პროგრამის დასახელება	კოდი	დასუფთავება და ნარჩენების მართვა	დაფინანსება ათ. ლარში
	03 01		3 868,0
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სააგენტო		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>გორის მუნიციპალიტეტში დასუფთავების ღონისძიებების განხორციელება ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს. პროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სააგენტო ახორციელებს ქალაქში ყოველდღიურად დაგვა-დასუფთავებით სამუშაოებს, ქალაქისა და მუნიციპალიტეტში შემავალი ადმინისტრაციული ერთეულებიდან საყოფაცხოვრებო ნაგვის ნარჩენების მოგროვებასა და გატანას.</p> <p>მიზანი - მუნიციპალიტეტში ეკოლოგიურად სუფთა გარემოს უზრუნველყოფა.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	გაუმჯობესებულია მუნიციპალური ნარჩენების მართვა.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	დაფინანსება ათ. ლარში
-------------------------	------	----------------------------------	-----------------------

	03 01 01	3 868,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სააგენტო	
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>გორის მუნიციპალიტეტში დასუფთავების ღონისძიებების განხორციელება ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს. ქვეპროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სააგენტო ახორციელებს ქალაქში ყოველდღიურად დაგვა-დასუფთავებით სამუშაოებს, ქალაქისა და მუნიციპალიტეტში შემავალი ადმინისტრაციული ერთეულებიდან საყოფაცხოვრებო ნაგვის ნარჩენების მოგროვებასა და გატანას. ქალაქის გარდა სამუშაოები ხორციელდება მუნიციპალიტეტში შემავალ 77 სოფელში. ქალაქში განთავსებულია 550 სანაგვე ურნა, რომლის დაცლა ხდება ყოველდღიურად, ხოლო დაახლოებით 350 სანაგვე ურნა იცლება დღეში 2-ჯერ. მუნიციპალიტეტის სოფლებში განთავსებულია 1400 სანაგვე ურნა, რომლებიც იცლება დადგენილი გრაფიკის მიხედვით. შეგროვებული ნარჩენები გადის ქალაქის (კვერნაკის) ნაგავსაყრელზე. პერიოდულად ხდება სპეციალიზირებული მანქანების სველი წესით დამუშავება. ზამთრის სეზონზე დგება მორიგეობის გრაფიკი, საჭიროების შემთხვევაში ქალაქის ქუჩებში ხდება მარილის მოხწვა.</p> <p>მიზანი - დასუფთავებული და მოვლილი მუნიციპალიტეტის ტერიტორია.</p>	
მოსალოდნელი შედეგი	უზრუნველყოფილია მუნიციპალური ნარჩენების მართვა და საზოგადოებრივი სივრცეების დაგვა-დასუფთავება.	

პროგრამის დასახელება	კოდი	რეკრეაციული სივრცეების მოვლა-პატრონობა	დაფინანსება ათ. ლარში
	03 02		789,0
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სააგენტო		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სკვერებისა და პარკების მოვლა-პატრონობა. კერძოდ: სკვერებისა და გაზონების დასუფთავება, ტარდება მრავალწლიანი ნარგავების და ბუჩქების მოვლა-პატრონობა (მრავალწლიანი ნარგავების გასხვლა, ბუჩქების დეკორატიული კრეჭვა, ნიადაგის მომზადება, გაფხვიერება, მორწყვა, ბალახის გათიბვა, მოწამვლა, მინერალური სასუქების შეტანა და სხვა). სკვერებსა და გაზონებში ხდება ერთწლიანი ყვავილნარის მოწყობა და მრავალწლიანი (სხვადასხვა ჯიშის) ნერგების დარგვა. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ხდება მრავალწლიანი ნარგავების გადაბეღვა და ამორტიზირებული ხეების მოჭრა. ხდება გათიბულის, გასხლულის და მოჭრილი მორების გატანა.</p> <p>ქვეპროგრამის ფარგლებში აგრეთვე ხორციელდება სანერგე მეურნეობის მოვლა-პატრონობა. კერძოდ: ხდება ერთწლიანი ყვავილის ჩითილების გამოყვანა, მრავალწლიანი ნარგავების დათესვა, დაკალმება. ასევე ხორციელდება დასვენების პარკი „ახალბაღის“ მოვლა-პატრონობა.</p> <p>მიზანი - გამწვანებული გაზონები და დასვენებისათვის შექმნილი მოწესრიგებული რეკრეაციული სივრცე.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტში გაუმჯობესებულია ეკოლოგიური მდგომარეობა.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	პარკების, სკვერების, გაზონების და მწვანე ნარგავების მოვლა-შენახვა	დაფინანსება ათ. ლარში
	03 02 01		789,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სააგენტო		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სკვერებისა და პარკების მოვლა-პატრონობა. კერძოდ: სკვერებისა და გაზონების დასუფთავება, ტარდება მრავალწლიანი ნარგავების და ბუჩქების მოვლა-პატრონობა (მრავალწლიანი ნარგავების გასხვლა, ბუჩქების დეკორატიული კრეჭვა, ნიადაგის მომზადება, გაფხვიერება, მორწყვა, ბალახის გათიბვა, მოწამვლა, მინერალური სასუქების შეტანა და სხვა). სკვერებსა და გაზონებში ხდება ერთწლიანი ყვავილნარის მოწყობა და მრავალწლიანი (სხვადასხვა ჯიშის) ნერგების დარგვა. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ხდება მრავალწლიანი ნარგავების გადაბეღვა და ამორტიზირებული ხეების მოჭრა. ხდება გათიბულის, გასხლულის და მოჭრილი მორების გატანა.</p> <p>ქვეპროგრამის ფარგლებში აგრეთვე ხორციელდება სანერგე მეურნეობის მოვლა-პატრონობა. კერძოდ: ხდება მრავალწლიანი ნარგავების დათესვა-დაკალმება.</p> <p>მიზანი - მოწესრიგებული რეკრეაციული სივრცე.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	მოვლილი და გამწვანებულია პარკები, სკვერები, გაზონები და დასვენებისათვის შექმნილია		

მოწესრიგებული რეკრეაციული სივრცე.

პროგრამული კოდი	დასახელება	2023 წელი
04 01	სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა	14,453.3
04 01 01	სკოლამდელი დაწესებულებების მშენებლობა-რეაბილიტაცია	1,031.3
04 01 02	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირების ხელშეწყობა	13,422.0
04 02	ზოგადი განათლების ხელშეწყობა	1,801.6
04 02 01	სკოლისგარეშე განათლების ხელშეწყობა დათანადაფინანსება	162.0
04 02 02	საჯარო სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელება და მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა	1,639.6
სულ განათლება		16,254.9

პროგრამის დასახელება	კოდი	სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა	დაფინანსება ათ. ლარში
	04 01		14 453,3
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტო		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამა ითვალისწინებს: მოსახლეობისათვის საყოველთაოდ და თანაბრად ხელმისაწვდომ სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიწოდებას, ასევე ინკლუზიურ განათლებას. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში განათლების ხარისხის ამაღლებას, აღმზრდელ-პედაგოგთა გადამზადებას.</p> <p>მიზანი - სახელმწიფო სტანდარტების შესაბამისი სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიწოდების უზრუნველყოფა.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	გაზრდილია სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ხელმისაწვდომობა და და შექმნილია ბავშვთა განვითარებაზე ორიენტირებული მაღალი სტანდარტების სააღმზრდელო გარემო, გადამზადებულია აღმზრდელი-პედაგოგები.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სკოლამდელი დაწესებულებების მშენებლობა-რეაბილიტაცია	დაფინანსება ათ. ლარში
	04 01 01		1 031,3
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	გორის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცით მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობა სოფელ საქაშეთში და ახალდაბაში, რომელიც 2022 წელს დაიწყება. ასევე, განხორციელდება ნაწილობრივი სარეაბილიტაციო სამუშაოები.</p> <p>მიზანი - საბავშვო ბაღების ინფრასტრუქტურის განვითარება და კეთილმოწყობა.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	ახალი და რეაბილიტირებული, სტანდარტების შესაბამისი პირობების მქონე სკოლამდელი დაწესებულებები.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირების ხელშეწყობა	დაფინანსება ათ. ლარში
	04 01 02		13 422,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტო		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>სკოლამდელი განათლება ბავშვთა აკადემიური და სოციალური განვითარების მნიშვნელოვანი საფეხურია. ბავშვს, რომელიც ხარისხიან სკოლამდელ აღზრდას გადის, გაცილებით უკეთესი მაჩვენებელი აქვს სკოლაში და შემდგომ. სკოლამდელ განათლებაში ინვესტირება არის ერთ-ერთი საუკეთესო ინვესტირება არა მხოლოდ ბავშვში, არამედ საზოგადოებაში. სკოლისათვის და შემდგომი ცხოვრებისათვის მზაობის ხელშეწყობა მრავალმხრივი პროცესია და ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით ბავშვის სრულფასოვან პიროვნებად ჩამოყალიბების მყარ საფუძველს წარმოადგენს. როდესაც ბავშვი სათანადოდ არის განვითარებული სასკოლო მზაობის კუთხით, იგი ბევრად უფრო წარმატებულია განათლების შემდეგ ეტაპზე (სკოლა, უმაღლესი სასწავლებელი და სხვა) და ეს მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მის ცხოვრებისეულ წინსვლას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ძლიერი და მდგრადი სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სისტემის</p>		

	<p>უზრუნველყოფა გორის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტის განვითარებასთან ერთად დღითიდღე იზრდება მოთხოვნა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებზე. არსებული მუნიციპალური საბავშვო ბაღები რთულად უძლებდებიან მოთხოვნის არულად დაკმაყოფილებას, რაც ქმნის ახალი ბაღების მშენებლობის აუცილებლობას. გარდა ამისა, სააღმზრდელო პროცესის ხარისხიანად მიწოდება მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მუდმივ განახლებასა და აღმზრდელთა პერმანენტულ პროფესიულ გადამზადებას მოითხოვს. არსებული სიტუაციის ანალიზიდან და მოქალაქეთა საჭიროებებიდან გამომდინარე, გორის მუნიციპალიტეტისათვის პრიორიტეტულია სახელმწიფო სტანდარტების შესაბამისი, საყოველთაოდ და თანაბრად ხელმისაწვდომი, ინკლუზიური სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიწოდების უზრუნველყოფა მოსახლეობისათვის. პროგრამა ითვალისწინებს: სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში განათლების ხარისხის ამაღლებას, აღმზრდელ-პედაგოგთა გადამზადებას, სააღმზრდელო-საგანმანათლებლო პროცესის ორგანიზებას, კვების ორგანიზებასა და რაციონის კვებითი ღირებულების ნორმების შესაბამისობაში მოყვანას საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის დადგენილებით განსაზღვრულ სტანდარტებთან, მეთოდური მიმართულების გაუმჯობესების მიზნით საბავშვო ბაღების აღსაზრდელებისათვის სხვადასხვა საბავშვო ლიტერატურისა და სათამაშოების შესყიდვას, სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შევსება-განახლების მიზნით ავეჯის, საოჯახო ტექნიკის, სამზარეულოს ჭურჭლის, სხვადასხვა ქსოვილის ნივთებისა და სხვა საჭირო ინვენტარის შესყიდვას, სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების კონტროლის მიზნით საკვები პროდუქტებისა და სასმელი წყლის ლაბორატორიულ კვლევებს.</p> <p>მიზანი - სახელმწიფო სტანდარტების შესაბამისი სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიწოდების უზრუნველყოფა.</p>
მოსალოდნელი შედეგი	გაზრდილია სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ხელმისაწვდომობა და შექმნილია ბავშვთა განვითარებაზე ორიენტირებული მაღალი სტანდარტების სააღმზრდელო გარემო, გადამზადებულია აღმზრდელი-პედაგოგები.

პროგრამის დასახელება	კოდი	ზოგადი განათლების ხელშეწყობა	დაფინანსება ათ. ლარში
	04 02		1 801,6
პროგრამის განმახორციელებელი	განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>აღნიშნული პროგრამა ხელს შეუწყობს: გორის მუნიციპალიტეტის საჯარო და კერძო სკოლებში კლასგარეშე აქტივობების განხორციელებას, აქტუალური თემებისა და პროექტების წამოწევას, მათ დაგეგმვა-პრეზენტაციას, ახალგაზრდების ცნობიერებისა და მოტივაციის ამაღლებას, აგრეთვე პროგრამის ფარგლებში გორის მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომლობასა და კოორდინაციას ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან და სხვა დაინტერესებულ უწყებებთან. შედეგად გაიზრდება ახალგაზრდების დაინტერესება და ჩართულობა გორის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების მუნიციპალურ პროგრამაში.</p> <p>პროგრამის პრიორიტეტული მიმართულებები:</p> <p>ა) არაფორმალური განათლება;</p> <p>ბ) საბუნებისმეტყველო მიმართულება;</p> <p>გ) საგანმანათლებლო-კულტურულ-შემეცნებითი აქტივობები (მაგ. მხიარულთა და საზრიანთა კლუბი; საქალაქო ოლიმპიადები, ინტელექტ-ჩემპიონატი - „ეტალონი“, კონფერენციები, სემინარები და დისკუსიები და ა. შ.)</p> <p>პროგრამის ფარგლებში მოხდება სკოლის კურსდამთავრებულების ფინანსური წახალისება ერთიან ეროვნულ გამოცდებში ყველაზე მაღალი რეიტინგის (100 %-ანი საგრანტო ქულის) მიხედვით, რომლის საფუძველზეც მოიპოვეს სწავლის გაგრძელების უფლება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში;</p> <p>აღნიშნული ინიციატივა ეხება კურსდამთავრებულების 2 კატეგორიას:</p> <p>ა) გორის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ და მუნიციპალიტეტის საჯარო და კერძო სკოლების კურსდამთავრებულებს;</p> <p>ბ) გორის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ (ბოლო 2 წელი) კურსდამთავრებულებს, რომლებსაც მოუწიათ საქართველოს სხვა მუნიციპალიტეტების ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლა.</p> <p>პროგრამის ფარგლებში აგრეთვე მოხდება სხვადასხვა საგანმანათლებლო ღონისძიებებში (საერთაშორისო კონკურსები, კონფერენციები, ოლიმპიადები) გამარჯვებული მოსწავლეების დაჯილდოვება (ფასიანი საჩუქრები/სტიპენდიები), აგრეთვე საზეიმო</p>		

	<p>ღონისძიებების ორგანიზება.</p> <p>პროგრამა აგრეთვე ითვალისწინებს „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე და 30-ე მუხლის თანახმად მოსწავლეთა მიმართ ზოგადი განათლების მიღების უზრუნველსაყოფად შესაბამისი ზომების გატარებას, კერძოდ, გორის მუნიციპალიტეტის მერია უფლებამოსილია მიიღოს ზომები იმ მოსწავლეთა მიმართ ზოგადი განათლების მიღების უზრუნველსაყოფად, რომელთაც ავადმყოფობის გამო ან სხვა საპატიო მიზეზით ვერ შეძლეს საგაკვეთილო პროცესში მონაწილეობის მიღება.</p> <p>პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია “საზაფხულო ბანაკის” მოწყობა გორის მუნიციპალიტეტის საჯარო და კერძო სკოლების მე-12 კლასელებისთვის, მიმდინარე სასწავლო წლის კურსდამთავრებულებისთვის და გორის მუნიციპალიტეტის უმაღლესი სასწავლო დაწესებულების სტუდენტებისთვის. საზაფხულო ბანაკი მიზნად ისახავს ახალგაზრდების ჩართულობის სტიმულირებას ადგილობრივი თვითმართველობის პროცესებში.</p> <p>მიზანი - პროგრამის მიზნობრივი მიმართულებებია: მუნიციპალიტეტის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში არაფორმალური განათლების ხელშეწყობა და კლასგარეშე აქტივობების/ პროექტების განხორციელება; ახალგაზრდების დაინტერესებისა და ჩართულობის გაზრდა განათლების მუნიციპალურ პროგრამაში; ახალგაზრდების წახალისება.</p>
მოსალოდნელი შედეგი	ხელშეწყობილია სკოლისგარეშე განათლება და უზრუნველყოფილია წარმატებული აბიტურიენტების მხარდაჭერა.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სკოლისგარეშე განათლების ხელშეწყობა და თანადაფინანსება	დაფინანსება ათ. ლარში
	04 02 01		162,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	გორის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>აღნიშნული პროგრამა ხელს შეუწყობს: გორის მუნიციპალიტეტის საჯარო და კერძო სკოლებში კლასგარეშე აქტივობების განხორციელებას, აქტუალური თემებისა და პროექტების წამოწევას, მათ დაგეგმვა-პრეზენტაციას, ახალგაზრდების ცნობიერებისა და მოტივაციის ამაღლებას, აგრეთვე პროგრამის ფარგლებში გორის მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომლობასა და კოორდინაციას ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან და სხვა დაინტერესებულ უწყებებთან. შედეგად გაიზრდება ახალგაზრდების დაინტერესება და ჩართულობა გორის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების მუნიციპალურ პროგრამაში.</p> <p>პროგრამის პრიორიტეტული მიმართულებები: ა) არაფორმალური განათლება; ბ) საბუნებისმეტყველო მიმართულება; გ) საგანმანათლებლო-კულტურულ-შემეცნებითი აქტივობები (მაგ. მხიარულთა და საზრიანთა კლუბი; საქალაქო ოლიმპიადები, ინტელექტ-ჩემპიონატი - „ეტალონი“, კონფერენციები, სემინარები და დისკუსიები და ა. შ.)</p> <p>პროგრამის ფარგლებში მოხდება სკოლის კურსდამთავრებულების ფინანსური წახალისება ერთიან ეროვნულ გამოცდებში ყველაზე მაღალი რეიტინგის (100 %-ანი საგრანტო ქულის) მიხედვით, რომლის საფუძველზეც მოიპოვეს სწავლის გაგრძელების უფლება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.</p> <p>აღნიშნული ინიციატივა ეხება კურსდამთავრებულების 2 კატეგორიას: ა) გორის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ და მუნიციპალიტეტის საჯარო და კერძო სკოლების კურსდამთავრებულებს; ბ) გორის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ (ბოლო 2 წელი) კურსდამთავრებულებს, რომლებსაც მოუწიათ საქართველოს სხვა მუნიციპალიტეტების ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლა.</p> <p>პროგრამის ფარგლებში აგრეთვე მოხდება სხვადასხვა საგანმანათლებლო ღონისძიებებში (საერთაშორისო კონკურსები, კონფერენციები, ოლიმპიადები) გამარჯვებული მოსწავლეების დაჯილდოება (ფასიანი საჩუქრები/სტიპენდიები), აგრეთვე საზეიმო ღონისძიებების ორგანიზება.</p> <p>პროგრამა აგრეთვე ითვალისწინებს: „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე და 30-ე მუხლის თანახმად მოსწავლეთა მიმართ ზოგადი განათლების მიღების უზრუნველსაყოფად შესაბამისი ზომების გატარებას, კერძოდ, გორის მუნიციპალიტეტის მერია უფლებამოსილია მიიღოს ზომები იმ მოსწავლეთა მიმართ ზოგადი განათლების მიღების უზრუნველსაყოფად, რომელთაც ავადმყოფობის გამო ან სხვა საპატიო მიზეზით ვერ შეძლეს საგაკვეთილო პროცესში მონაწილეობის მიღება.</p> <p>პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია “საზაფხულო ბანაკის” მოწყობა გორის მუნიციპალიტეტის საჯარო და კერძო სკოლების მე-12 კლასელებისთვის, მიმდინარე სასწავლო წლის კურსდამთავრებულებისთვის და გორის მუნიციპალიტეტის უმაღლესი</p>		

	<p>სასწავლო დაწესებულების სტუდენტებისთვის. სააზფხულო ბანაკი მიზნად ისახავს ახალგაზრდების ჩართულობის სტიმულირებას ადგილობრივი თვითმართველობის პროცესებში.</p> <p>მიზანი - პროგრამის მიზნობრივი მიმართულებებია: მუნიციპალიტეტის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში არაფორმალური განათლების ხელშეწყობა და კლასგარეშე აქტივობების/ პროექტების განხორციელება; ახალგაზრდების დაინტერესებისა და ჩართულობის გაზრდა განათლების მუნიციპალურ პროგრამაში; ახალგაზრდების წახალისება.</p>
მოსალოდნელი შედეგი	ხელშეწყობილია სკოლისგარეშე განათლება და უზრუნველყოფილია წარმატებული აბიტურიენტების მხარდაჭერა.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	საჯარო სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელება და მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა	დაფინანსება ათ. ლარში
	04 02 02		1 639,6
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	გორის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცით მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა და საჯარო სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები.</p> <p>მიზანი - საჯარო სკოლის მოსწავლეთათვის კომფორტული სასკოლო პირობების შექმნა და სასწავლო პროცესზე დროული დასწრება.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	საჯარო სკოლის მოსწავლეთა განათლების ხელშეწყობა.		

პროგრამული კოდი	დასახელება	2023 წელი
05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	5,769.7
05 01 01	სპორტული ღონისძიებების დაფინანსება	1,837.7
05 01 02	ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობა	1,196.0
05 01 02 01	ფეხბურთის კლუბის განვითარების ხელშეწყობა	1,038.0
05 01 02 02	ქალთა სპორტის განვითარება	75.0
05 01 02 03	ამპუტატტა ფეხბურთის განვითარება	83.0
05 01 03	სპორტის განვითარების სააგენტოს ფუნქციონირების ხელშეწყობა	2,736.0
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	4,018.0
05 02 01	კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა და თანადაფინანსება	450.0
05 02 02	საგამომცემლო საქმიანობის ხელშეწყობა	96.0
05 02 03	კულტურის ცენტრებისა და ანსამბლების ხელშეწყობა	1,757.8
05 02 04	ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა	133.2
05 02 05	სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა	743.0
05 02 06	მუზეუმების, ბიბლიოთეკების და მწერალთა სახლის ხელშეწყობა	536.0
05 02 07	კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების დაცვა	72.0
05 02 09	ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა	230.0
05 03	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	219.6
05 03 01	რელიგიური ორგანიზაციების ელექტროენერჯის ხარჯის დაფინანსება	139.6
05 03 02	საკულტო ნაგებობის რეაბილიტაციის თანადაფინანსება	80.0
სულ		
კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი		10,007.3

პროგრამის დასახელება	კოდი	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	დაფინანსება ათ. ლარში
	05 01		5 769,7
პროგრამის განმახორციელებელი	გორის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური; ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის ფეხბურთის კლუბი გორი; ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარებისა და ხელშეწყობის სააგენტო		
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოზარდებისა და ახალგაზრდებისათვის სპორტის სხვადასხვა სახეობებში ჩართულობის		

	ხელმისაწვდომობის გაზრდა, მუნიციპალური სპორტული კლუბებისა და მათ ბაზაზე არსებული ასაკობრივი ჯგუფების განვითარების ხელშეწყობა. მიზანი - ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია. სპორტული განვითარების ხელმისაწვდომობა.
მოსალოდნელი შედეგი	ხელშეწყობილია ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია, უზრუნველყოფილია სპორტის სხვადასხვა სახეობების თანაბარი ხელმისაწვდომობა და წახალისებულია სპორტული მიღწევები.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სპორტული ღონისძიებების დაფინანსება	დაფინანსება ათ. ლარში
	05 01 01		1 837,7
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	გორის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სპორტის განვითარება და ხელშეწყობა, მასობრივი სპორტის პოპულარიზაცია, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება, პერსპექტიული სპორტსმენების მხარდაჭერა, შშმ პირების მონაწილეობა სხვადასხვა სპორტულ აქტივობებში, ასევე სასკოლო სპორტული ოლიმპიადის ორგანიზება და სკოლის მოსწავლეთა მაქსიმალური ჩართულობა სასკოლო სპორტული ოლიმპიადის ეგიდით გათვალისწინებულ ღონისძიებებში. სპორტის განყოფილება უწევს კოორდინაციას და ორგანიზებას სპორტული ღონისძიებების ჩატარებასა და მონიტორინგს. მიზანი - მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სპორტის განვითარება და ხელშეწყობა.		
მოსალოდნელი შედეგი	ჩატარებულია ქვეპროგრამით დაგეგმილი ყველა ღონისძიება. დაჯილდოებულია წარმატებული მწვრთნელები და სპორტსმენები.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობა	დაფინანსება ათ. ლარში
	05 01 02		1 196,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის ფეხბურთის კლუბი გორი		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ „გორის მუნიციპალიტეტის ფეხბურთის კლუბი გორი“ უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოზარდებისა და ახალგაზრდებისაგან შემდგარი 36 ასაკობრივი ჯგუფის მომზადებას, რომელიც დაკომპლექტებულია 900-მდე მოზარდით (მათ შორის რაიონებში). ასევე უზრუნველყოფს ქალთა და ამპუტანტთა გუნდების მომზადებას წლის განმავლობაში სხვადასხვა ასპარეზობებში მონაწილეობის მისაღებად. საფეხბურთო ვარჯიშები და წვრთნები მიმდინარეობს სხვადასხვა სპორტულ სტადიონებზე, რომელთა მოვლა-პატრონობას ახორციელებს საფეხბურთო კლუბი. ფუტსალის გუნდი წლის განმავლობაში გადის მომზადებას და წარმატებით მონაწილეობს ფუტსალის ლიგა 2-ის ჩემპიონატში, რითაც პოპულარიზაციას უწევს სპორტის ამ სახეობას. მიზანი - მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოზარდებისა და ახალგაზრდებისათვის ფეხბურთის ხელმისაწვდომობის გაზრდა, ქალთა და ამპუტანტთა ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობა. გუნდების ასპარეზობა ეროვნულ ჩემპიონატებში. ფეხბურთის ერთ-ერთი სახეობის - ფუტსალის განვითარების ხელშეწყობა.		
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტში მცხოვრებთათვის გაზრდილია ფეხბურთის ხელმისაწვდომობა.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ფეხბურთის კლუბის განვითარება	დაფინანსება ათ. ლარში
	05 01 02 01		1 038,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის ფეხბურთის კლუბი გორი		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება საფეხბურთო სკოლის დაფინანსება, რომელიც ხმარდება ფეხბურთელებისა და მწვრთნელების ხელფასებს, შეკრებებს, სამწვრთნელო პროცესს, ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილეობისათვის აუცილებელი ხარჯების ანაზღაურებას, ადმინისტრაციული პერსონალის ხელფასს და სტადიონის ფუნქციონირებისათვის სხვა აუცილებელი ხარჯების დაფინანსებას. მიზანი - საფეხბურთო სკოლისა და გუნდის წარმატებული ასპარეზობა ეროვნულ ჩემპიონატში. ფეხბურთის განვითარება და ცხოვრების წესის დამკვიდრება მოზარდებში.		
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალური საფეხბურთო სტადიონის შეუფერხებელი ფუნქციონირება წლის განმავლობაში გამართული ყველა სპორტული ღონისძიების მასპინძლობისთვის. ეროვნულ		

ჩემპიონატში გუნდების მიერ საპრიზო ადგილების დაკავება.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ქალთა ფეხბურთის განვითარება	დაფინანსება ათ. ლარში
	05 01 02 02		75,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის ფეხბურთის კლუბი გორი		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება ქალთა საფეხბურთო გუნდის „გორი იუნაიტედის“ დაფინანსება, რომელიც ხმარდება ფეხბურთელებისა და მწვრთნელების ხელფასებს, შეკრებებს, სამწვრთნელო პროცესს, ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილეობისათვის აუცილებელი ხარჯების ანაზღაურებას, ადმინისტრაციული პერსონალის ხელფასს. მიზანი - ქალთა საფეხბურთო გუნდის ასპარეზობა ეროვნულ ჩემპიონატში და შემდგომ საერთაშორისო ასპარეზზე.		
მოსალოდნელი შედეგი	ეროვნულ ჩემპიონატში გუნდის მიერ საპრიზო ადგილების დაკავება.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ამპუტანტთა ფეხბურთის განვითარება	დაფინანსება ათ. ლარში
	05 01 02 03		83,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის ფეხბურთის კლუბი გორი		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება გორის ამპუტანტ ფეხბურთელთა გუნდის დაფინანსება, რომელიც ხმარდება ფეხბურთელებისა და მწვრთნელების ხელფასებს, შეკრებებს, სამწვრთნელო პროცესს. მიზანი - ამპუტანტთა საფეხბურთო გუნდის წარმატებული ასპარეზობა ეროვნულ ჩემპიონატში და შემდგომ საერთაშორისო ასპარეზზე.		
მოსალოდნელი შედეგი	ეროვნულ ჩემპიონატში საპრიზო ადგილების დაკავება.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სპორტის განვითარების სააგენტოს ფუნქციონირების ხელშეწყობა	დაფინანსება ათ. ლარში
	05 01 03		2 736,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარებისა და ხელშეწყობის სააგენტო		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია: 1. ბავშვთა და მოზარდთა სპორტის სხვადასხვა სახეობებში ჩართულობა და ასაკობრივი ჯგუფების განვითარების ხელშეწყობა, ბავშვთა და მოზარდთათვის ხელმისაწვდომობის გაზრდა სპორტის ისეთ სახეობებში როგორცაა: კალათბურთი, ხელბურთი, ჭადრაკი, კრივი, ექსტრემალური სპორტი, თავისუფალი ჭიდაობა, ძიუდო, ტანვარჯიში, კიკბოქსინგი, მკლავჭიდი, ფრენბურთი, ჩოგბურთი... სპორტის სააგენტო სულ აერთიანებს 20 სპორტულ მიმართულებას. სპორტულ სექციებში ვარჯიშობს 2373 სპორტსმენი, საიდანაც 440 გოგონაა. ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით სპორტსმენების სტატისტიკა შემდეგია: 1. უმცროსი ასაკის - 548 სპორტსმენი, 2. უფროსი ასაკის - 780 სპორტსმენი; 3. ახალგაზრდები - 707 სპორტსმენი; 4. დიდები (უფროსები) - 338 სპორტსმენი. დაგეგმილია სხვადასხვა ტურნირებში, შეკრებებსა და გასვლით ღონისძიებებში სპორტსმენთა მონაწილეობის მიღება, ასევე ადგილობრივი სპორტული ტურნირების მოწყობა. 2. ძიუდოს კლუბი „გოლდენ გორში“ გაწევრიანებული სპორტსმენების ხელშეწყობა მაღალი შედეგის მისაღწევად, კლუბში გაერთიანებულია 5 ტიტულოვანი სპორტსმენი და 3 რეზერვისტი. ტიტულოვან სპორტსმენებისათვის დაგეგმილია შრომის ანაზღაურება, სპორტული ინვენტარით უზრუნველყოფა, სპორტულ ტურნირებში მონაწილეობის მიღება როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საერთაშორისო ასპარეზზე. 3. თსტ კლუბი „სხირელი“ გაწევრიანებული სპორტსმენების ხელშეწყობა მაღალი შედეგის მისაღწევად. კლუბში გაერთიანებულია 14 სპორტსმენი. სპორტსმენებისათვის დაგეგმილია შრომის ანაზღაურება, სპორტული ინვენტარით უზრუნველყოფა. მიზანი - მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვებისა და მოზარდებისათვის სპორტის სხვადასხვა სახეობებში ჩართულობის ხელმისაწვდომობის გაზრდა, ასაკობრივი ჯგუფების და თსტ მოჭიდავეთა კლუბების განვითარების ხელშეწყობა მაღალი შედეგის მისაღწევად.		
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვებისთვის და მოზარდებისთვის ხელმისაწვდომია სპორტის სხვადასხვა სახეობებში ჩართულობა და ხელშეწყობილია ასაკობრივი ჯგუფების, სპორტული კლუბის „გოლდენ გორის“ და ჭიდაობის კლუბი სხირელის განვითარება.		

პროგრამის დასახელება	კოდი	კულტურის სფეროს განვითარება	დაფინანსება ათ. ლარში
	05 02		4 018,0
პროგრამის განმახორციელებელი	გორის მუნიციპალიტეტის მერია; გორის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური; ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის გაზეთი „გორის მაცნე“; ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის სააგენტო		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია კულტურული პროექტების განხორციელება, ფესტივალების, კონკურსების, გამოფენების და ხელოვნების სხვა დარგების განვითარებით გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კულტურის სფეროს გაუმჯობესება. წარმატებული ხელოვნების, საპატიო გორელების დაჯილდოვება და მათი წახალისება. ასევე სხვადასხვა კონკურსებში და ფესტივალებში გამარჯვებული ხელოვნების დაჯილდოვება. მუნიციპალური გაზეთის „გორის მაცნე“ მემკვიდრეობით საზოგადოებრივად მნიშვნელოვან საკითხებზე მოსახლეობის ინფორმირება; კულტურისა და ტურიზმის განვითარების სააგენტოს ხელშეწყობა კულტურის ცენტრების და ანსამბლების, ტურიზმის, სახელოვნებო განათლების, მუზეუმების, ბიბლიოთეკების და მწერალთა სახლის ფუნქციონირების ხელშეწყობით. კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების დაცვა და ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა.</p> <p>მიზანი - კულტურული ცხოვრების გამრავალფეროვნება, ხელოვანთა შემოქმედებითი ზრდის ხელშეწყობა.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტში ხელშეწყობილია კულტურული ცხოვრების მრავალფეროვნება.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა და თანადაფინანსება	დაფინანსება ათ. ლარში
	05 02 01		450,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	გორის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>გორის მუნიციპალიტეტი ყოველთვის გამოირჩეოდა კულტურის სფეროში თავისი მიღწევებით. აქ აღიზარდა მრავალი ნიჭიერი თაობა, რომლებმაც სახელი გაუთქვეს ჩვენს მუნიციპალიტეტს ადგილობრივ და საერთაშორისო ასპარეზზე. გორის მუნიციპალიტეტის მერია აცხადებს მზადყოფნას, თანადაფინანსების სახით ხელი შეუწყოს ყველა იმ ორგანიზაციას, რომელიც მოდგაწეობს ხელოვნების სფეროში და კულტურული პროექტების განხორციელებით, ფესტივალების, კონკურსების, გამოფენების და ხელოვნების სხვა დარგების განვითარებით უზრუნველყოფენ გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კულტურის სფეროს გაუმჯობესებას. გორის მუნიციპალიტეტის მერია თანადაფინანსების სახით ხელს შეუწყობს გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ კულტურის სფეროში მოღვაწე ხელოვანებს, ანსამბლებს, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ კულტურულ ღონისძიებებში, ფესტივალებში, კონკურსებში, კულტურის სფეროსთან დაკავშირებულ კონფერენციებში, მასტერკლასებში რისი საშუალებითაც შეძლებენ საკუთარი ნიჭის რეალიზებას და აიმაღლებენ კვალიფიკაციას. ასევე მოხდება შემოქმედი, წარმატებული ხელოვანების, საპატიო გორელების, სხვადასხვა ფესტივალებში, კონკურსებში გამარჯვებული ხელოვანების დაჯილდოვება ფასიანი საჩუქრებით ან ფულადი ჯილდოთი.</p> <p>მიზანი - კულტურის სფეროს გაუმჯობესება, სხვადასხვა სახის კულტურული პროექტების ხელშეწყობა და თანადაფინანსება.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	განხორციელებულია კულტურული პროექტები და საპატიო გორელების და სხვადასხვა კონკურსებში გამარჯვებული წარმატებული ხელოვანების წახალისება, დაჯილდოვება ფასიანი საჩუქრით ან ფულადი ჯილდოთი.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	საგამომცემლო საქმიანობის ხელშეწყობა	დაფინანსება ათ. ლარში
	05 02 02		96,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის გაზეთი „გორის მაცნე“		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>გაზეთ „გორის მაცნე“ საქმიანობა - საზოგადოებრივად მნიშვნელოვან საკითხებზე მკითხველისთვის ინფორმაციის მიწოდება, მთავრობის გადაწყვეტილებებსა და მოქმედ პროგრამებზე ცნობადობის ამაღლება, ადგილობრივი თვითმართველობის მიერ მიღებული ნორმატიული აქტების და მოქმედი პროგრამების შესახებ მოსახლეობისათვის ინფორმაციის მიწოდება, საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი პრობლემების იდენტიფიცირება, კომპეტენტური პირებისგან შესაბამისი პასუხების მოძიება, ასევე აუდიტორიის კიდევ უფრო მეტად გაზრდის და საზოგადოების უფრო დიდი ნაწილისთვის ინფორმაციის</p>		

	მიწოდების მიზნით ვებ გვერდის ამოქმედება და გაზეთის ელექტრონული ვერსიის წარმოება. მიზანი - მოსახლეობისათვის ქვეყანაში და რეგიონში არსებული მიმდინარე მოვლენების გაშუქება და საჭირო ინფორმაციის მიწოდება.
მოსალოდნელი შედეგი	უზრუნველყოფილია მოსახლეობის ინფორმირება მნიშვნელოვანი ინფორმაციით.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	კულტურის ცენტრებისა და ანსამბლების ხელშეწყობა	დაფინანსება ათ. ლარში
	05 02 03		1 757,8
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის სააგენტო		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, შესაბამისი ცენტრების, სკოლების, კლუბების, სექციების მეშვეობით მოსწავლე-ახალგაზრდებისთვის კულტურული, საგანმანათლებლო და შემოქმედებითი საქმიანობის განხორციელება; კულტურის განყოფილებაში შედის 9 რაიონის - ხიდისთავის, ახალხიზის, ქიწნისის, მეჯვრისხევის, ტყვიავის, ზერტის, ძევერის, ნიქოზის ბავშვთა და ახალგაზრდული ცენტრები და ქ. გორის, სუხიშვილის №20-ში განთავსებული ბავშვთა და ახალგაზრდული ცენტრი. ქალაქში არსებული წრეები: ვოკალის, ქართული ენის, საესტრადო ენის, ქორეოგრაფიული ცეკვის, რუსული ენის, ინგლისური ენის, თექის, ხალხური საკრავების (დოლები და საგალობელი), თეატრალური; რაიონებში არსებული წრეები: შინდისი - გიტარის, ვარიანი - ხალხური საკრავების, ძევერა - ხატვის, ხალხური სიმღერების; ზედდულეთი - ჭადრაკის, კარალეთი - ჭრა-კერვის, ქსოვის, ხატვის; ფლავისმანი - ხელგარჯილობის, ხიდისთავი - ქსოვის, ხატვის, დოლების; ქვახვრელი - ჭადრაკის, ატენი - სიმღერის, შავშევი - სიმღერის, მათემატიკის; მეჯვრისხევი - ცეკვის. კულტურული, ახალგაზრდული პროექტებისა და მუსიკალური და ქორეოგრაფიული ანსამბლების მხარდაჭერის მიზანია მოსწავლე-ახალგაზრდობისთვის ქართული ეროვნული და მსოფლიო ხელოვნებისა და კულტურის საფუძვლების გაცნობა, მათი სამოქალაქო საზოგადოებაში დამკვიდრების ხელშეწყობა, ესთეტიკურ და ზნეობრივ აღზრდაზე ზრუნვა. მოსწავლე-ახალგაზრდობისთვის ფორმალური და არაფორმალური განათლების მისაღწევად შესაბამისი კლასების, შემოქმედებითი კლუბების, სექციების, წრეების, ჯგუფების ისეთი შემეცნებით-სახელოვნებო მიმართულებებით ჩამოყალიბება როგორცაა: ქორეოგრაფიული, ფოლკლორული, ვოკალურ-ინსტრუმენტალური, ჟურნალისტიკური, თეატრალური, ხალხური რეჟისის და სხვა. ასევე საგანმანათლებლო საგნობრივი მიმართულებით კულტურულ-შემოქმედებით და საგანმანათლებლო პროგრამებში იძულებით გადაადგილებულ, სოციალურად დაუცველ და საქართველოს ერთიანობისთვის დაღუპულ მებრძოლთა ოჯახების შვილების (მოსწავლეების) ჩართვა. აღნიშნული კატეგორიის მოსწავლეებთან ურთიერთობა წარმოადგენს პრიორიტეტს. ასევე, სპეციალური საჭიროებების მქონე პირების (მოსწავლეების) კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამებსა და პროექტებში ჩართვა, მათთვის შესაბამისი ადაპტირებული გარემო-პირობების შექმნა და ინკლუზიური განათლების სპეციფიკის ხელშეწყობა. აგრეთვე, განსაკუთრებული უნარ-ჩვევების მქონე მოსწავლე-ახალგაზრდების გამოვლენა და მათი განვითარების ხელშეწყობა.</p> <p>მიზანი - მოსწავლე-ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი კულტურის დაწესებულებები ფუნქციონირებენ შეუფერხებლად. კულტურის სახლების მიერ სრულად არის დაკმაყოფილებული ქორეოგრაფიულ, ფოლკლორულ და საესტრადო წრეებზე მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვებისა და მოზარდების მოთხოვნა.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა	დაფინანსება ათ. ლარში
	05 02 05		743,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის სააგენტო		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი ქვედა საფეხურის სამუსიკო განათლების 5 სკოლა: სკრის, ატენის, ტირმისის, ტყვიავის, ხელთუზნის. საბაზო-საორიენტაციო - ქ. გორში, ვანო მურადელის სახელობის სამუსიკო სკოლა. სამუსიკო სკოლებში გაერთიანებულია საფორტეპიანო, თეორიული, ვიოლინოს, ხალხური საკრავების, კლასიკური გიტარის და სხვა მიმართულებები. სამუსიკო და ხელოვნების სკოლებში დაწყებით სამუსიკო განათლებას იღებს გორის მუნიციპალიტეტში მცხოვრები 1020 ბავშვი (მათ შორის: გოგო - 740, ბიჭი - 280) სამხატვრო სკოლაში ბავშვები ეუფლებიან ფერწერას, ხატვას, კომპოზიციას, ქანდაკებას, გობელენს, ვიტრაჟს და ხატწერას.</p>		

	სამხატვრო სკოლაში დაწყებით სამხატვრო განათლებას იღებს მუნიციპალიტეტში მცხოვრები 258 ბავშვი (მათ შორის: გოგო - 203, ბიჭი - 55). მიზანი - მოზარდებში მუსიკალური და მხატვრული განათლების მიცემა, განსაკუთრებული მუსიკალური და მხატვრული ნიჭით დაჯილდოვებული მოსწავლეების გამოვლენა.
მოსალოდნელი შედეგი	მოზარდებში მიღებულია დაწყებითი და სახელოვნებო განათლება.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	მუზეუმების, ბიბლიოთეკებისა და მწერალთა სახლის ხელშეწყობა	დაფინანსება ათ. ლარში
	05 02 06		536,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის სააგენტო		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი შემდეგი ობიექტები: ისტორიულ-ეთნოგრაფიული და საბრძოლო დიდების მუზეუმები; ნიკო ლომოურის და ალექსანდრე ჯავახიშვილის სახლ-მუზეუმები; ე.წ „ერეკლეს აბანო“; 3 ბიბლიოთეკა - ცენტრალური, მოზრდილთა და საბავშვო, მწერალთა სახლი.</p> <p>მუზეუმებში დღეის მდგომარეობით განთავსებულია 114 126 ექსპონატი. წლის განმავლობაში ვიზიტორთა რაოდენობა საშუალოდ შეადგენს 3 215-ს. ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ეზოში იგეგმება ევროკავშირის მიერ აშენებული ქართული ტრადიციული სახელოსნოების გახსნა. ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის რეაბილიტაცია დასრულდება და უკვე ახალ რეაბილიტირებულ მუზეუმში იგეგმება ნუმისმატიკის დარბაზის გახსნა უახლესი ტექნიკის აღჭურვილობით. ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი ეწევა სამეცნიერო-კვლევით და კულტურულ საგანმანათლებლო საქმიანობას, რომლის მუშაობის პრინციპია „გავფრთხილდეთ წარსულს უკეთესი მომავლისათვის“.</p> <p>ბიბლიოთეკა არის კულტურულ-საგანმანათლებლო სამეცნიერო-ინფორმაციული დაწესებულება, რომლის მნიშვნელოვანი სოციალური ფუნქციაა სრულად და ეფექტურად გამოიყენოს თავისი ფონდები და სხვა საბიბლიოთეკო რესურსები ფიზიკურ და იურიდიულ პირთა მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. ბიბლიოთეკების წიგნადი ფონდი შეადგენს 112 148 ერთეულს. ბიბლიოთეკების მომსახურებით სარგებლობს მუნიციპალიტეტში მცხოვრები დაახლოებით 383 000 მოსახლე. აგრეთვე შექმნილია მოხუცთა და ინვალიდთა სპეციალიზებული საბიბლიოთეკო მომსახურება. ღონიძიებები იგეგმება წლის განმავლობაში აქტუალური თემატიკის მიხედვით და ასევე მკითხველთა მოთხოვნების გათვალისწინებით.</p> <p>ადგილობრივი მწერლების შემოქმედებითი საქმიანობის ხელშეწყობა და განვითარება, ლიტერატურული საქმიანობის ხელშეწყობა, ადგილობრივი მწერლების შემოქმედების პოპულარიზაცია, ახალგაზრდა შემოქმედთა კონსულტირება, ბეჭდური და ელექტრონული გამოცემების მოზადება, მთარგმნელობითი საქმიანობის განხორციელება, თანამედროვე სალიტერატურო ნორმების დამკვიდრების ხელშეწყობა, შემოქმედებითი, სამეცნიერო და საგანმანათლებლო ღონიძიებების ორგანიზება, ლიტერატურული კონკურსების ჩატარება, გამოფენების მოწყობა.</p> <p>მიზანი - ბიბლიოთეკებისა და მუზეუმებისადმი მოსახლეობის და ახალგაზრდობის დაინტერესების და ჩართულობის გაზრდა. ძველი თაობის და ახალგაზრდა მწერლების პოპულარიზაცია.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	ხელშეწყობილია შემოქმედებითი, სამეცნიერო და საგანმანათლებლო საქმიანობა და უზრუნველყოფილია ბიბლიოთეკებისა და მუზეუმების ეფექტური ფუნქციონირება, ლიტერატურული გამოცემების დაფინანსება და კონკურსების ჩატარება და მხარდაჭერილი არიან ახალგაზრდა მწერლები.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების დაცვა	დაფინანსება ათ. ლარში
	05 02 07		72,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	გორის მუნიციპალიტეტის მერია		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია გორის ციხის ტერიტორიაზე განთავსებული დეკორატიული განათების სისტემის დაცვა. მიზანი - განათების სისტემის დაცვის უზრუნველყოფა.		
მოსალოდნელი შედეგი	დაცული განათების სისტემა.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა	დაფინანსება ათ. ლარში
-------------------------	------	---------------------------------------	-----------------------

	05 02 09	230,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	გორის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური	
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარება საქართველოში იძენს ახალ სახეს, ევროპის განვითარებულ ქვეყნების ნაბიჯების აყვალის მიზნით აღნიშნულ დარგში მნიშვნელოვანია თვითმმართველობის პროცესებში საზოგადოების ინტენსიური ჩართვა, რამე თუ ახალგაზრდული საკითხები ეს არ არის მხოლოდ ახალგაზრდების საქმე ან მხოლოდ ახალგაზრდული განყოფილების. აღნიშნულიდან გამომდინარე ევროსტანდარტების და საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციების გათვალისწინებით მნიშვნელოვანი ფოკუსირება ხდება ეგრეთწოდებულ ოქროს სამკუთხედზე, რაც გულისხმობს ახალგაზრდების მიერ დაგეგმილი და სხვადასხვა სახის იურიდიული პირების (დაინტერესებული) მიერ მხარდაჭერილი/წარდგენილი პროექტების ადგილობრივი თვითმმართველობის მხრიდან ფინანსური/ტექნიკური საშუალებების უზრუნველყოფით განხორციელებულ პროექტებს. აღნიშნული სისტემა ასევე ორიენტირებულია ახალგაზრდების ჩართულობის უმაღლესი საფეხურის დაკავებაზე, რაც ახალგაზრდების როლს ზრდის ახალგაზრდული პროექტების დაგეგმვასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ამდაგვარად დაგეგმილი და განხორციელებული პროექტები არის როგორც ხარისხობრივად ასევე ფინანსური კუთხით მოქნილი და ეფექტური. საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციების საფუძველზე გათვალისწინებულია ასევე შშმ პირების და სხვა მოწყვლადი ჯგუფების ჩართულობა ახალგაზრდული განყოფილების მიერ დაგეგმილ სხვადასხვა აქტივობებში.</p> <p>მიზანი - ახალგაზრდული ორგანიზაციების განვითარება, შემდგომში ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების და ახალგაზრდების ჩართულობის ზრდის მიზნით.</p>	
მოსალოდნელი შედეგი	უზრუნველყოფილია ახალგაზრდული პროექტების წარმატებით განხორციელება.	

პროგრამის დასახელება	კოდი	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	დაფინანსება ათ. ლარში
	05 03		219,6
პროგრამის განმახორციელებელი	გორის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტში არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა მოვლა-შენახვის, ისტორიული მნიშვნელობის ტაძრებისა და რელიგიური კერების აღდგენა-რეაბილიტაციის, ახალი რელიგიური კერების მშენებლობის ხელშეწყობას.</p> <p>მიზანი - რელიგიური დაწესებულებების და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების ფინანსური მხარდაჭერა.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	უზრუნველყოფილია რელიგიური ორგანიზაციების მხარდაჭერა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და შენარჩუნება.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	რელიგიური ორგანიზაციების ელექტრონერგის ხარჯის დაფინანსება	დაფინანსება ათ. ლარში
	05 03 01		139,6
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	გორის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული რელიგიური დაწესებულებების მიერ დახარჯული ელექტროენერგის ღირებულების ანაზღაურება.</p> <p>მიზანი - მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული რელიგიური დაწესებულებების ფინანსური მხარდაჭერა.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	ფინანსურად მხარდაჭერილი არიან რელიგიური ორგანიზაციები.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	საკულტო ნაგებობის რეაბილიტაციის თანადაფინანსება	დაფინანსება ათ. ლარში
	05 03 02		80,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	გორის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული კულტურის ძეგლების, ისტორიული მნიშვნელობის ტაძრების, რელიგიური კერების აღდგენა, რეაბილიტაცია და ახალი რელიგიური კერების მშენებლობის ხელშეწყობა. მათ შორის ყველა მოცემულ საკითხში არსებული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით კონსტრუქციული ელემენტების სიმტკიცისთვის განსახორციელებელი ღონისძიებების ფინანსური მხარდაჭერა.</p>		

	მიზანი - მუნიციპალიტეტში არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მშენებლობის ხელშეწყობა.
მოსალოდნელი შედეგი	უზრუნველყოფილია ეკლესია-მონასტრების ტერიტორიაზე მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარება.

პროგრამული კოდი	დასახელება	2023 წელი
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	2,525.6
06 01 01	საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა	221.0
06 01 02	იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ, ცერებრალური დამბლით, აუტიზმით, დაუნის სინდრომით, კახაბაზ-მერიტის სინდრომით, არომატული ამინომჟავების მეტაბოლიზმის დარღვევების მქონე (ფენილკეტონურია, სხვა ჰიპერფენილალანემია ICD E70.0 – E70.1), გლუტენის დაავადება (ცელიაკია ICD K90.0), კანის ქრონიკული (თანდაყოლილი იქთიოზი ICD Q80), ჰიდროცეფალიით და ოჯახური ხმელთაშუაზღვის ცხელებით, იუვენული რევმატოიდული ართრიტი (M08.0) დაავადებული ადამიანების სამედიცინო და სოციალური დახმარება	517.0
06 01 03	სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სამედიცინო დახმარება	928.4
06 01 04	ონკოლოგიური (ონკოპათოლოგიური) ავადმყოფების სამედიცინო დახმარება	596.6
06 01 05	უფასო მედიკამენტებით უზრუნველყოფა	204.0
06 01 06	დიალიზზე მყოფი ადამიანების სოციალური დახმარება	46.0
06 01 07	სქოლიოზით დაავადებული ბენეფიციარების სამკურნალო-სარეაბილიტაციო დახმარება	12.6
06 02	სოციალური უზრუნველყოფა	2,041.9
06 02 01	მხედველობით მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (უსინათლო) და სმენადაქვეითებული (ყრუ-მუნჯობა ICD H-90.6; H-91.9) პირთა ერთჯერადი ფულადი დახმარება	130.0
06 02 02	ასი და მეტი წლის ასაკის უხუცეს დღეგრძელთა დახმარება	7.0
06 02 03	დედ-მამით ობოლი ბავშვების და იმ ბავშვების დახმარება, რომელთა მშობლებსაც შეზღუდული აქვთ მშობლის უფლება-მოვალეობები	40.0
06 02 04	მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება	283.0
06 02 05	მიცვალბულთა სარიტუალო მომსახურება	42.0
06 02 06	სტუდენტებისა და სპორტსმენების დახმარება	78.0
06 02 07	სოციალური პროექტების თანადაფინანსება	476.0
06 02 08	ხანძრებისა (გარდა განზრახ გამოწვეული ხანძრისა) და ბუნებრივი მოვლენებით საცხოვრებელ ბინებზე მიყენებული ზარალისათვის ოჯახისადმი დახმარება	65.0
06 02 09	საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისთვის მებრძოლთა (ვეტერანთა) ოჯახების სოციალური დახმარება	51.0
06 02 10	რეინტეგრაციაში მყოფი ბავშვების დახმარება თანადაფინანსებით	16.0
06 02 11	მარტოხელა მშობლის დახმარება	73.5
06 02 12	უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში, მიუსაფარი, უსახლკაროდ დარჩენილი მოსახლეობის ქირით უზრუნველყოფის ერთჯერადი ფულადი დახმარება	408.8
06 02 13	სოციალურად დაუცველი ოჯახების, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების და ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მესაკუთრეთა გაერთიანებების თანადაფინანსების თანამონაწილეობის წილის დაფინანსება	3.0
06 02 14	ოჯახში ძალადობის მსხვერპლებისათვის (ბენეფიციარების) დახმარების გაწევა	9.0
06 02 15	გორის მუნიციპალიტეტში ტერიტორიაზე რეგისტრირებული უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში მყოფი, უსახლკაროდ დარჩენილი ადამიანების დროებითი საცხოვრისით უზრუნველყოფა	211.2
06 02 16	2022 წლის 01 იანვრიდან სასჯელსრულების დაწესებულებიდან განთავისუფლებული ყოფილი მსჯავრდებულების სოციალური ფულადი დახმარება	0.2
06 02 17	2021 წლის 1 იანვრიდან სახელმწიფო ზრუნვიდან გასული სრულწლოვანი (არაუმეტეს 21 წლისა) მოქალაქეების დახმარება	2.9

06 02 19	ერთჯერადი სოციალური (ფულადი) დახმარება	145.3
06 03	სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის უზრუნველყოფა	551.0
06 03 01	მიუსაფარი შინაური ცხოველების მართვის ხელშეწყობა	551.0
სულ		5,118.4
ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა		

პროგრამის დასახელება	კოდი	ჯანმრთელობის დაცვა	დაფინანსება ათ. ლარში
	06 01		2 525,6
პროგრამის განმახორციელებელი	გორის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური; ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>სოციალურად დაუცველი, ონკოლოგიური, პროგრამულ დიალექზე მყოფი, ქრონიკული დაავადებების, შეზღუდული შესაძლებლობის პირების, იშვიათი დაავადებების მქონე და სქოლიოზით დაავადებული ბენეფიციარების დახმარება.</p> <p>მიზანი - გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოსახლეობის, ასევე გორის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მცხოვრები დროებით რეგისტრირებული იძულებით გადაადგილებული პირების - დევნილი მოსახლეობის, ადგილობრივი ჯანდაცვის პროგრამებით სარგებლობა.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა	დაფინანსება ათ. ლარში
	06 01 01		221,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>სამოქმედო არეალში ეპიდემიოდამხედველობის, მათ შორის ტუბერკულოზით დაავადებული პირების კონტაქტების კვლევა, შეწყვეტილი და ურჩი ტუბ.პაციენტების მოძიება მათი მკურნალობაში ხელახალი ჩართვის მიზნით, პატიმრობიდან გათავისუფლებული ტუბ.პაციენტების ზედამხედველობა მკურნალობის დასრულების მიზნით, სამედიცინო სტატისტიკის ღონისძიებათა განხორციელება. სხვადასხვა პარაზიტულ დაავადებებზე მოსახლეობისათვის რეკომენდაციების მიწოდება; „C ჰეპატიტის მართვის“ სახელმწიფო პროგრამის ხელშეწყობის მიზნით მოსახლეობის პირველადი სკრინინგი, სკრინინგი-დადებითი ბენეფიციარების რეფერალი სამედიცინო დაწესებულებებში შემდგომი კვლევებისა და მკურნალობაში ჩართვის მიზნით. ახალი კორონა ვირუსის საწინააღმდეგო ღონისძიებების განხორციელება მოსახლეობაში ვირუსის გავრცელების თავიდან აცილების მიზნით, ცოფის გავრცელების სიტუაციური მართვის პროცესებზე მეთვალყურეობა. კონტროლს-დაქვემდებარებული სამედიცინო დაწესებულებების მონიტორინგი სამედიცინო სტატისტიკური ინფორმაციის წარმოებაზე, ნოზოკომიური ინფექციების ეპიდემიოდამხედველობაზე რეკომენდაციების მიწოდება; იმუნოპროფილაქტიკის დაგეგმვა, სამედიცინო დაწესებულებების უზრუნველყოფა ასაცრელი მასალითა და ტესტ-სისტემებით. მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება თამბაქოსა და მეორადი კვამლის მავნეობაზე, სხვადასხვა ინფექციურ და პარაზიტულ დაავადებებზე, ჯანმრთელობისათვის მავნე ჩვევებზე, ცხოვრების ჯანსაღ წესზე ლექცია-საუბრებით, საინფორმაციო ბეჭდური მასალის მომზადება-გავრცელებით.სხვადასხვა სავაკრო დაწესებულებებსა და საზოგადოებრივ თავშეყრის ადგილებში თამბაქოს შესახებ კანონის განმტკიცების ხელშეწყობა. საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში ესთეტიკური და კოსმეტიკური პროცედურების წარმოებისას სანიტარული ნორმების დაცვის ზედამხედველობა. სასწავლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა და სხვადასხვა რეკომენდაციების მიწოდება.</p> <p>მიზანი - სამოქმედო მუნიციპალიტეტში მოსახლეობის ჯანმრთელობაზე მეთვალყურეობა, საგანგებო სიტუაციებზე რეაგირება, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	<p>შედეგი 1: უზრუნველყოფილია გადამდებ დაავადებათა პრევენციისა და ჯანმრთელობაზე მავნე ფაქტორების ზემოქმედების თაობაზე მოსახლეობის ინფორმირების გზით ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა;</p> <p>შედეგი 2: უზრუნველყოფილია მუნიციპალიტეტში სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის კონტროლი.</p>		

ქვეპროგრამის	კოდი	იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას	დაფინანსება
--------------	------	--	-------------

დასახელება		დაქვემდებარებულ, ცერებრალური დამბლით, აუტიზმით, დაუნის სინდრომით, კაზაბახ-მერიტის სინდრომით, არომატული ამინომჟავების მეტაბოლიზმის დარღვევების მქონე (ფენილკეტონურია, სხვა ჰიპერფენილალანემია ICD E70.0 – E70.1), გლუტენის დაავადება (ცელიაკია ICD K90.0), კანის ქრონიკული (თანდაყოლილი იქთიოზი ICD Q80), ჰიდროცეფალით და ოჯახური ხმელთაშუაზღვის ცხელებით, იუვენილური რევმატოიდული ართრიტით (M08.0) დაავადებული ადამიანების სამედიცინო და სოციალური დახმარება	ათ. ლარში 517,0
06 01 02			
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	გორის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში: 1. იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ, ცერებრალური დამბლით, დაუნის სინდრომით, ჰიდროცეფალით და ოჯახური ხმელთაშუაზღვის ცხელებით, გარდა (ცელიაკით და ფენილკეტონურიით) დაავადებული ადამიანების, სამედიცინო სტაციონარული, ამბულატორიული მომსახურების, მათ შორის, კვლევების, სამკურნალო სარეაბილიტაციო ღონისძიებების, ადაპტური ტექნოლოგიების და მედიკამენტების თანადაფინანსება განისაზღვროს არაერთჯერადად წლიური ლიმიტის 500 (ხუთასი) ლარის ამოწურვამდე.</p> <p>2. ცელიაკით (ICD K90.0) და ფენილკეტონურიით (ICD E70.0; E70.1) დაავადებული ადამიანების სარეაბილიტაციო საჭიროებების დაფინანსება განისაზღვროს არაერთჯერადად წლიური ლიმიტის 1500 (ერთიათას ხუთასი) ლარის ამოწურვამდე.</p> <p>3. ცერებრალური დამბლით, დაუნის სინდრომით, ცელიაკით, ფენილკეტონურიით, ჰიდროცეფალით და ოჯახური ხმელთაშუაზღვის ცხელებით დაავადებული ადამიანების სოციალური დახმარება განისაზღვროს ერთჯერადად 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით.</p> <p>3'. (0-დან 18 წლამდე) იუვენილური რევმატოიდული ართრიტით (M08.0) და (0-დან 18 წლამდე) კაზაბახ-მერიტის სინდრომით დაავადებული სოციალური დახმარება განისაზღვროს ერთჯერადად 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით.</p> <p>4. (0-დან 18 წლამდე) აუტიზმის სპექტრის მქონე (F84.0; F84.1; F84.9) ბავშვების სამედიცინო სტაციონარული ამბულატორიული მომსახურების, მათ შორის, კვლევების, სამკურნალო სარეაბილიტაციო ღონისძიებების თანადაფინანსება განისაზღვროს არაერთჯერადად წლიური ლიმიტის 2 000 (ორი ათასი) ლარის ამოწურვამდე.</p> <p>4¹. (0-დან 18 წლამდე) კაზაბახ-მერიტის სინდრომით დაავადებული ბავშვების სამედიცინო კვლევების თანადაფინანსება განისაზღვროს არაერთჯერადად წლიური ლიმიტის 2 000 (ორი ათასი) ლარის ამოწურვამდე.</p> <p>4². (0-დან 18 წლამდე) იუვენილური რევმატოიდული ართრიტით (M08.0) დაავადებული ბავშვების სამედიცინო კვლევების თანადაფინანსება განისაზღვროს არაერთჯერადად წლიური ლიმიტის 2 000 (ორი ათასი) ლარის ამოწურვამდე.</p> <p>4¹ და 4² პუნქტებით გათვალისწინებული დახმარება გაიცემა ასევე საზღვარგარეთ მისაღები მკურნალობისთვის.</p> <p>მიზანი - ბენეფიციართა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	დაავადებულთა სასიცოცხლო მნიშვნელობის მკურნალობის, მედიკამენტების, კვლევების და სარეაბილიტაციო ღონისძიებების უზრუნველყოფა. ბენეფიციარების ჯანმრთელობის მდგომარეობის სტაბილიზაცია.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სამედიცინო დახმარება	დაფინანსება ათ. ლარში
	06 01 03		928,4
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	გორის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში სოციალურად დაუცველი მოქალაქეები, რომელთაც ესაჭიროებათ კვლევა, რაც არ არის გათვალისწინებული სხვა პროგრამით და გააჩნიათ 0-დან 150 000-ის ჩათვლით სოციალური სარეიტინგო ქულა, დახმარებას მიიღებენ არაერთჯერადად, წლიური ლიმიტის - 500 (ხუთასი) ლარის ამოწურვამდე, სამედიცინო სტაციონარული მკურნალობის მომსახურების თანადაფინანსებას და სამედიცინო რეაბილიტაციის დაფინანსებას მიიღებენ არაერთჯერადად, პაციენტის მხრიდან გადასახდელი თანხით, წლიური ლიმიტის - 500 (ხუთასი) ლარის ამოწურვამდე.</p> <p>მიზანი - ბენეფიციართა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	უზრუნველყოფილია სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სამედიცინო კვლევებისა და სტაციონარული მკურნალობის დაფინანსება.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ონკოლოგიური (ონკოპათოლოგიური) ავადმყოფების სამედიცინო დახმარება	დაფინანსება ათ. ლარში
-------------------------	------	---	-----------------------

	06 01 04	596,6
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	გორის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური	
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ონკოლოგიური (ონკოპათოლოგიური) ავადმყოფების სამედიცინო სტაციონარული მკურნალობის მომსახურების თანადაფინანსება განისაზღვროს არაერთჯერადად, სამედიცინო მომსახურებისათვის პაციენტის მხრიდან გადასახდელი თანხით, წლიური ლიმიტის – 500 (ხუთასი) ლარის ამოწურვამდე; კვლევის თანადაფინანსება განისაზღვროს არაერთჯერადად, წლიური ლიმიტის – 500 (ხუთასი) ლარის ამოწურვამდე; მედიკამენტებით დახმარება გაეწევა არაერთჯერადად, წლიური ლიმიტის 500 (ხუთასი) ლარის ამოწურვამდე, ამ მუხლში აღნიშნულ დაავადებათა მკურნალობის ფარგლებში. მიზანი - ბენეფიციართა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა.	
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ონკოლოგიური (ონკოპათოლოგიური) ავადმყოფებისთვის უზრუნველყოფილია სამედიცინო მომსახურების და მედიკამენტების ხარჯების თანადაფინანსება.	

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	უფასო მედიკამენტებით უზრუნველყოფა	დაფინანსება ათ. ლარში
	06 01 05		204,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	გორის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>1. მოსახლეობის უფასო მედიკამენტებით უზრუნველყოფის კუთხით დასაფინანსებელ დახმარების მიმღებთა (ბენეფიციართა) კონტინგენტი:</p> <p>ა) გორის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ეპილევსიით დაავადებული პაციენტები;</p> <p>ბ) გორის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული პარკინსონიზმით დაავადებული პაციენტები.</p> <p>2. მედიკამენტებით დახმარება გაეწევა გორის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ 0-დან 150 000-ის ჩათვლით სოციალური სარეიტინგო ქულის მქონე შემდეგ დაავადებათა კატეგორიის ბენეფიციარებს:</p> <p>ა) თავის ტვინის სისხლის მიმოქცევის მოშლით დაავადებულ პირებს;</p> <p>ბ) შაქრიანი დიაბეტი ტიპი II-ით (ინსულინდამოუკიდებელი) დაავადებულ პირებს;</p> <p>გ) ბრონქიალური ასთმით დაავადებულ ადამიანებს;</p> <p>დ) ფარისებრი ჯირკვლის დაავადების მქონე ადამიანებს;</p> <p>მედიკამენტებით დახმარება გაეწევათ არაუმეტეს 300 (სამასი) ლარის ფარგლებში გორის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული: ა) პარკინსონიზმით და ეპილევსიით დაავადებული, ბ) 0-დან 150 000-ის ჩათვლით სოციალური სარეიტინგო ქულის მქონე; თავის ტვინის სისხლის მიმოქცევის მოშლით; შაქრიანი დიაბეტი ტიპი II-ით (ინსულინდამოუკიდებელი); ბრონქიალური ასთმით დაავადებულ პირებს, ფარისებრი ჯირკვლის დაავადების მქონე ადამიანებს, თვალის ქრონიკული დაავადების (გლაუკომა) სამედიცინო კოდი H40-დან H42-ის ჩათვლით; H42*.“</p> <p>მიზანი - დაავადებულთა სასიცოცხლო მნიშვნელობის მკურნალობისათვის მედიკამენტებით უზრუნველყოფა.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	სხვადასხვა დაავადების მქონე მოსახლეობისთვის უზრუნველყოფილია სამედიცინო მომსახურების და მედიკამენტების ხარჯების თანადაფინანსება.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	დიალიზზე მყოფი ადამიანების სოციალური დახმარება	დაფინანსება ათ. ლარში
	06 01 06		46,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	გორის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში დიალიზზე მყოფი ადამიანების ერთჯერადი ფულადი დახმარება განისაზღვროს - 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით. ქვეყანაში არსებული ეპიდემიოლოგიური სიტუაციიდან გამომდინარე და გადაადგილების მიზნით, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით M2 და M3 ავტობუსებზე რეგულარული სამგზავრო გადაყვანის შეზღუდვის შემთხვევაში, დიალიზზე მყოფი დაავადებული ადამიანების ყოველთვიური (თვეში ერთხელ) ფულადი დახმარება განისაზღვროს:</p> <p>ა) გორის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული იმ პირებისათვის, რომელთა რეგისტრაციის მისამართიდან იმ სამედიცინო დაწესებულებამდე, რომელიც ახორციელებს დიალიზსა და თირკმლის ტრანსპლანტაციის პროგრამას, დაშორება შეადგენს 5 (ხუთ) კილომეტრზე მეტს - 300 (სამასი) ლარის ოდენობით;</p>		

	ბ) გორის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული იმ პირებისათვის, რომელთა რეგისტრაციის მისამართიდან იმ სამედიცინო დაწესებულებამდე, რომელიც ახორციელებს დიალიზსა და თირკმლის ტრანსპლანტაციის პროგრამას, დაშორება შეადგენს 5 (ხუთ) კილომეტრზე ნაკლებს - 150 (ას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით. მიზანი - ბენეფიციართა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა.
მოსალოდნელი შედეგი	ხელშეწყობილია მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ თირკმლის უკმარისობით დაავადებულ პირთა სამედიცინო მომსახურების მიღება.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სქოლიოზით დაავადებული ბენეფიციარების სამკურნალო-სარეაბილიტაციო დახმარება	დაფინანსება ათ. ლარში
	06 01 07		12,6
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	გორის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	II-III ხარისხის სქოლიოზით დაავადებული 0-დან 150 000-ის ჩათვლით სოციალური სარეიტინგო ქულის მქონე (0-დან 18 წლის ჩათვლით) ბენეფიციარები წლის განმავლობაში არაერთჯერადად არაუმეტეს წლიური ლიმიტის - 300 (სამასი) ლარის ამოწურვამდე დახმარებას მიიღებენ საცურაო აუზით სარგებლობისათვის. თითოეულ ბენეფიციარს დაუფინანსდება ერთთვიანი საცურაო-გამაჯანსაღებელი კურსი, თქვეში 12 პროცედურა (კვირაში 3 დღე). მიზანი - ბენეფიციართა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა.		
მოსალოდნელი შედეგი	უზრუნველყოფილია სქოლიოზით დაავადებულ ბენეფიციართა სამედიცინო მომსახურებისა და მედიკამენტების ხარჯების თანადაფინანსება.		

პროგრამის დასახელება	კოდი	მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა	დაფინანსება ათ. ლარში
	06 02		2 041,9
პროგრამის განმახორციელებელი	გორის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	სოციალურად დაუცველი ადამიანების, სტუდენტების, სპორტსმენების, ომის ვეტერანების, დედ-მამით ობოლი ბავშვების, მარტოხელა მშობლების, უსახლკაროდ დარჩენილი ადამიანების, სტიქიური მოვლენების და ხანძრის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის, რეინტეგრაციაში მყოფი, მრავალწლიანი ოჯახების, ძალადობის მსხვერპლი ადამიანების, უზუცესი ადამიანების, სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან განთავისუფლებულთა და მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურება. მიზანი - გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოსახლეობის, ასევე გორის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მცხოვრები დროებით რეგისტრირებული იძულებით გადაადგილებული პირების - დევნილი მოსახლეობის, ადგილობრივი სოციალური პროგრამებით სარგებლობა.		
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტში მცხოვრები სხვადასხვა სოციალური კატეგორიის მოსახლეობა უზრუნველყოფილია ფინანსური დახმარებითა და სოციალური სერვისებით.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	მხედველობით მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (უსინათლო) და სმენადაქვეითებული (ყრუ-მუნჯობა ICD H-90.6; H-91.9) პირთა ერთჯერადი ფულადი დახმარება	დაფინანსება ათ. ლარში
	06 02 01		130,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	გორის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მკვეთრად გამოხატული (უსინათლო) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ერთჯერადი ფულადი დახმარება 350 (სამასორმოცდაათი) ლარის ოდენობით; 0-დან 150 000-ის ჩათვლით სოციალური სარეიტინგო ქულის მქონე მნიშვნელოვნად გამოხატული (უსინათლო) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ერთჯერადი ფულადი დახმარება 300 (სამასი) ლარის ოდენობით; სმენადაქვეითებული (ყრუ-მუნჯობა ICD H-90.6; H-91.9) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ერთჯერადი ფულადი დახმარება 300 (სამასი) ლარის ოდენობით. მიზანი - ბენეფიციართა ფინანსური მხარდაჭერა.		
მოსალოდნელი შედეგი	უზრუნველყოფილია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ფინანსური დახმარება.		

ქვეპროგრამის	კოდი	ასი და მეტი წლის ასაკის უზუცეს დღეგრძელთა დახმარება	დაფინანსება
--------------	------	---	-------------

დასახელება		ათ. ლარში
	06 02 02	7,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	გორის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური	
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია გორის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგისტრირებული ასი და მეტი წლის უხუცეს დღეგრძელთა ერთჯერადი ფულადი დახმარება 1000 (ერთი ათასი) ლარის ოდენობით. მიზანი - ბენეფიციართა ფინანსური მხარდაჭერა.	
მოსალოდნელი შედეგი	უხუცესი ადამიანები უზრუნველყოფილი არიან ერთჯერადი ფინანსური დახმარებით.	

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	დედ-მამით ობოლი ბავშვებისა და იმ ბავშვების დახმარება, რომელთა მშობლებსაც შეზღუდული აქვთ მშობლის უფლება-მოვალეობები	დაფინანსება ათ. ლარში
	06 02 03		40,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	გორის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში 0-დან 18 წლამდე დედ-მამით ობოლი ბავშვების და იმ ბავშვების, რომელთა მშობლებსაც შეზღუდული აქვთ მშობლის უფლება-მოვალეობები, მიიღებენ ერთჯერად დახმარებას სტაციონარული მკურნალობისათვის 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით. 0-დან 18 წლამდე დედ-მამით ობოლი ბავშვების და იმ ბავშვების, რომელთა მშობლებსაც შეზღუდული აქვთ მშობლის უფლება-მოვალეობები, ერთჯერად ფულად დახმარებას ყოველ ბავშვზე - 1000 (ერთი ათასი) ლარის ოდენობით. მიზანი - ობოლი ბავშვების ყოფითი პირობების გაუმჯობესება.		
მოსალოდნელი შედეგი	დედ-მამით ობოლი 18 წლამდე ასაკის ბავშვები უზრუნველყოფილი არიან ერთჯერადი ფინანსური დახმარებით.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება	დაფინანსება ათ. ლარში
	06 02 04		283,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	გორის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში ერთჯერადად მე-3 შვილის შექმნაზე 300 (სამასი) ლარის ოდენობით დაფინანსებას მიიღებენ 0-დან 150000-ის ჩათვლით სოციალური სარეიტინგო ქულის მქონე 0-დან 18-წლამდე 3-შვილიანი ოჯახები. ერთჯერადად 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით დაფინანსებას მიიღებენ გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული 0-დან 18-წლამდე ასაკის მქონე 4-შვილიანი ოჯახები. ერთჯერადად (თითო ბავშვზე) 200 (ორასი) ლარის ოდენობით დაფინანსებას მიიღებენ 0-დან 18-წლამდე ასაკის მქონე გორის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 5 და მეტშვილიანი ოჯახები. მიზანი - მრავალშვილიანი და სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახების სოციალური დახმარება.		
მოსალოდნელი შედეგი	მრავალშვილიანი ოჯახები უზრუნველყოფილი არიან ერთჯერადი ფინანსური დახმარებით.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურება	დაფინანსება ათ. ლარში
	06 02 05		42,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	გორის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში გორის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული: მეორე მსოფლიო ომის მონაწილეთა, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლთა, სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე სამშვიდობო მისიით, საბრძოლო მოქმედებებში მონაწილე ვეტერანთა, იძულებით გადაადგილებულ პირთა, უპატრონო მიცვალებულთა, დროებითი საცხოვრისით ან მერიის მიერ ქირით უზრუნველყოფილ პირთა გარდაცვალების და უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში მყოფი, მიუსაფარი, უსახლკაროდ დარჩენილი პირთა სარიტუალო მომსახურება განისაზღვროს 400 (ოთხასი) ლარით. მიზანი - მიცვალებულთა ოჯახების ფინანსური მხარდაჭერა.		
მოსალოდნელი შედეგი	სხვადასხვა კატეგორიის მოქალაქეების გარდაცვალების შემთხვევაში ოჯახები უზრუნველყოფილი არიან სარიტუალო მომსახურების დაფინანსებით.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სტუდენტებისა და სპორტსმენების დახმარება	დაფინანსება ათ. ლარში
	06 02 06		78,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	გორის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში: 1. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში აკრედიტებულ პროგრამაზე სწავლის საფასურის თანადაფინანსება 500(ხუთასი) ლარის ოდენობით, ერთჯერადად გაეწევა სტუდენტებს, რომლებიც არიან სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან და მინიჭებული აქვთ 0-დან 120 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულა, არ სარგებლობენ სხვა სახელმწიფო პროგრამით, ან/და აქვთ მოპოვებული 50% და 70% სახელმწიფო გრანტი სწავლის დაფინანსებაზე. 2. ერთჯერადი ფულადი დახმარება 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით გაეწევა ოლიმპიური სახეობების საქართველოს ნაკრების მოქმედ სპორტსმენებს, რომელთაც მინიჭებული აქვთ 0-დან 120 000-ის ჩათვლით სოციალური სარეიტინგო ქულა. 3. ერთჯერადად 1 000 (ათასი) ლარის ოდენობით დახმარება გაეწევა შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე სტუდენტებს, რომლებიც სწავლობენ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში აკრედიტებულ პროგრამებზე.</p> <p>მიზანი - სოციალურად დაუცველი სტუდენტების და სპორტსმენების ფინანსური მხარდაჭერა.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	უზრუნველყოფილია ოლიმპიური ნაკრების წევრი სპორტსმენებისა და სოციალურად დაუცველი სტუდენტებისა ფინანსური მხარდაჭერა.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სოციალური პროექტების თანადაფინანსება	დაფინანსება ათ. ლარში
	06 02 07		476,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	გორის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში გორის მუნიციპალიტეტში მოქმედი ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილი სოციალური პროექტების თანადაფინანსებით განხორციელდება მოწყვლად ჯგუფს მიკუთვნებული ადამიანების პრობლემის გადაჭრა-მოგვარება ან/და პრევენციის ღონისძიებები, რაც ხელს შეუწყობს სოციალური კეთილდღეობის გაუმჯობესებას.</p> <p>მიზანი - მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სამიზნე ჯგუფს მიკუთვნებული მოსახლეობის უზრუნველყოფა მათ საჭიროებაზე მორგებული, მრავალფეროვანი ჯანდაცვისა და სოციალური სერვისებით, კეთილსაიმედო გარემოს შექმნით და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე მიმართული პროექტებით.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	უზრუნველყოფილია მოწყვლად ჯგუფებზე მორგებული სოციალური პროექტების თანადაფინანსება		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ხანძრებისა (გარდა განზრახ გამოწვეული ხანძრისა) და ბუნებრივი მოვლენებით საცხოვრებელ ბინებზე მიყენებული ზარალისათვის ოჯახისადმი დახმარება	დაფინანსება ათ. ლარში
	06 02 08		65,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	გორის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში ხანძრებისა (გარდა განზრახ გამოწვეული ხანძრისა) და ბუნებრივი მოვლენებით საცხოვრებელ ბინებზე მიყენებული ზარალისათვის ოჯახისადმი ერთჯერადი ფულადი დახმარება განისაზღვრა - 5000 (ხუთი ათასი) ლარის ოდენობით.</p> <p>მიზანი - მოსახლეობის თანადგომა და მიყენებული ზარალის ნაწილობრივი ანაზღაურება.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	ხანძრისა და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახები უზრუნველყოფილი არიან ერთჯერადი ფინანსური დახმარებით		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისთვის მებრძოლთა (ვეტერანთა) ოჯახების სოციალური დახმარება	დაფინანსება ათ. ლარში
	06 02 09		51,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	გორის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების და მეორე მსოფლიო ომის</p>		

	<p>მონაწილეთა ერთჯერადი დახმარება - 400 (ოთხასი) ლარი.</p> <p>სადღესასწაულო დღეებთან დაკავშირებით დამატებით ერთჯერადად დახმარებას მიიღებენ:</p> <p>ა) საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები - 300 (სამასი) ლარი - საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით (26 მაისი);</p> <p>ბ) მეორე მსოფლიო ომის მონაწილეები - 300 (სამასი) ლარი - ფაშიზმზე გამარჯვების დღესთან დაკავშირებით (9 მაისს);</p> <p>გ) საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები და მეორე მსოფლიო ომის მონაწილეები - 300 (სამასი) ლარი - ვეტერანის დღესთან დაკავშირებით (17 ოქტომბერი).</p> <p>მიზანი - ვეტერანებისა და მათი ოჯახების ფინანსური თანადგომა.</p>
მოსალოდნელი შედეგი	ვეტერანები უზრუნველყოფილი არიან ერთჯერადი ფინანსური დახმარებით.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	რეინტეგრაციაში მყოფი ბავშვების დახმარება თანადაფინანსებით	დაფინანსება ათ. ლარში
	06 02 10		16,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	გორის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში რეინტეგრაციაში მყოფ ბავშვებს (ბენეფიციარებს) ფინანსური დახმარება გაეწევათ ყოველთვიურად თითოეულ ბავშვზე - 100 (ასი) ლარის ოდენობით. მიზანი - ბენეფიციართა რეაბილიტაცია და მატერიალური მხარდაჭერა.		
მოსალოდნელი შედეგი	რეინტეგრაციაში მყოფი ბავშვების ოჯახები უზრუნველყოფილი არიან ფინანსური დახმარებით		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	მარტოხელა მშობლის დახმარება	დაფინანსება ათ. ლარში
	06 02 11		73,5
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	გორის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში ერთჯერადად 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით დაფინანსებას მიიღებენ გორის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი მარტოხელა სტატუსის მქონე მშობლები, რომელთაც ჰყავთ (0-დან 18-წლამდე) შვილი ან შვილები და სოციალური მომსახურების სააგენტოდან აქვთ მინიჭებული (0-დან - 70 000-ის ჩათვლით) სოციალური სარეიტინგო ქულა;</p> <p>ერთჯერადად 300 (სამასი) ლარის ოდენობით დაფინანსებას მიიღებენ გორის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი მარტოხელა სტატუსის მქონე მშობლები, რომელთაც ჰყავთ (0-დან 18-წლამდე) შვილი ან შვილები და სოციალური მომსახურების სააგენტოდან აქვთ მინიჭებული (70 000-დან - 100 000-ის ჩათვლით) სოციალური სარეიტინგო ქულა;</p> <p>ერთჯერადად 200 (ორასი) ლარის ოდენობით დაფინანსებას მიიღებენ გორის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი მარტოხელა სტატუსის მქონე მშობლები, რომელთაც ჰყავთ (0-დან 18-წლამდე) შვილი ან შვილები და სოციალური მომსახურების სააგენტოდან აქვთ მინიჭებული (100 000-დან - 150 000-ის ჩათვლით) სოციალური სარეიტინგო ქულა.</p> <p>მიზანი - მარტოხელა მშობლის სოციალური პირობების გაუმჯობესება.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	უზრუნველყოფილია ბენეფიციართათვის პროგრამით გათვალისწინებული სერვისის მიწოდება.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში მყოფი, მიუსაფარი, უსახლკაროდ დარჩენილი მოსახლეობის ქირით უზრუნველყოფის ერთჯერადი ფულადი დახმარება	დაფინანსება ათ. ლარში
	06 02 12		408,8
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	გორის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში მყოფი ოჯახების და მიუსაფარ პირთა ქირით უზრუნველყოფა განხორციელდება წლის განმავლობაში ფულადი დახმარების გზით, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ საცხოვრებელ ფართში ყოველთვიურად, თვეში - 180 (ასოთხმოცი) ლარის ოდენობით.		

	მიზანი - მძიმე სოციალური პირობების მქონე ოჯახების დროებითი საცხოვრისით უზრუნველყოფა.
მოსალოდნელი შედეგი	უზრუნველყოფილია სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფების წარმომადგენელთა საცხოვრებელი ქირის თანხის თანადაფინანსება

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სოციალურად დაუცველი ოჯახების, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის და ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მესაკუთრეთა გაერთიანებების თანადაფინანსების თანამონაწილეობის წილის დაფინანსება	დაფინანსება ათ. ლარში
	06 02 13		3,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	გორის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	სოციალურად დაუცველი ოჯახების (0-დან 120 000 სოციალური სარეიტინგო ქულის ჩათვლით) თანამონაწილეობის წილის დაფინანსებას, რომლებიც გორის მუნიციპალიტეტის მერიის „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების და ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მესაკუთრეთა გაერთიანებების თანადაფინანსების პროგრამაში“ მონაწილეობის მიღებისას გადახდისუუნაროები არიან, სრულად უზრუნველყოფს გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი, სამუშაოების მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის გზით. მიზანი - სოციალურად დაუცველი, შეჭირვებული ოჯახების სოციალური პირობების გაუმჯობესება.		
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალური სერვისით მოსარგებლე პირთა საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ოჯახში ძალადობის მსხვერპლებისათვის (ბენეფიციარების) დახმარების გაწევა	დაფინანსება ათ. ლარში
	06 02 14		9,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	გორის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფარში მყოფ პირს/ოჯახს, თავშესაფრის დატოვების შემდეგ დამოუკიდებელი ცხოვრებისა და სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით გაეწევა დახმარება - 350 (სამასორმოდდათი) ლარის ოდენობით. მიზანი - ქვეპროგრამით მოსარგებლე პირთა რეაბილიტაცია და საზოგადოებაში ინტეგრაცია.		
მოსალოდნელი შედეგი	ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსი მქონე პირები უზრუნველყოფილი არიან ერთჯერადი ფინანსური დახმარებით და ხელშეწყობილია მათი რეაბილიტაცია		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	გორის მუნიციპალიტეტში ტერიტორიაზე რეგისტრირებული უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში მყოფი, უსახლკაროდ დარჩენილი ადამიანების დროებითი საცხოვრისით უზრუნველყოფა	დაფინანსება ათ. ლარში
	06 02 15		211,2
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	გორის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში მყოფი ოჯახების და მიუსაფარ პირთა დროებითი საცხოვრებელი უზრუნველყოფა განხორციელდება ერთი წლის განმავლობაში, გორის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლის და სოციალური მუშაკის მიერ, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი წევრის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე. მიზანი - უსახლკარო ადამიანების საბინაო პირობების გაუმჯობესება.		
მოსალოდნელი შედეგი	უსახლკაროდ დარჩენილი მოქალაქეები უზრუნველყოფილი არიან დროებითი საცხოვრისით		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	2022 წლის 1 იანვრიდან სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან განთავისუფლებული ყოფილი მსჯავრდებულების სოციალური ფულადი დახმარება	დაფინანსება ათ. ლარში
	06 02 16		0,2
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	გორის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამა ითვალისწინებს ერთჯერად სოციალურ დახმარებას - 300 (სამასი) ლარის ოდენობით, რომლის ფარგლებშიც უნდა განხორციელდეს პირადი დოკუმენტაციის მოწესრიგება, ქონების რეგისტრაცია, კომუნიკაციების შეყვანა და დარეგისტრირება პირად საკუთრებაში, პირად საკუთრებაში არსებული კომუნალური გადასახადების (დავალიანება) დაფარვა; დახმარებას მიიღებენ გორის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული, 2022 წლის 1		

	იანვრიდან სასჯელადსრულების დაწესებულებიდან განთავისუფლებული ყოფილი მსჯავრდებულები. მიზანი - სასჯელადსრულების დაწესებულებიდან განთავისუფლებული ყოფილი პატიმრების სოციალური პირობების გაუმჯობესება.
მოსალოდნელი შედეგი	ხელშეწყობილია 2022 წლის განმავლობაში სასჯელადსრულების დაწესებულებიდან განთავისუფლებული პირების სოციალური პირობების გაუმჯობესება

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	2021 წლის 1 იანვრიდან სახელმწიფო ზრუნვიდან გასული სრულწლოვანი (არაუმეტეს 21 წლისა) მოქალაქეების დახმარება	დაფინანსება ათ. ლარში
	06 02 17		2,9
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	გორის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და სოციალური და ჯანდაცვის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამა ითვალისწინებს ერთჯერად სოციალურ დახმარებას - 350 (სამასორმოდდათი) ლარის ოდენობით, რეგისტრაციისა და დავალიანებების დაფარვის მიზნით (ქონების რეგისტრაცია, კომუნიკაციების შეყვანა და დარეგისტრირება; კომუნალური გადასახადების (დავალიანება) დაფარვა, შრომითი მოწყობისათვის საჭირო დოკუმენტაციის ღირებულების ანაზღაურება (მართვის მოწმობა და სხვა საჭიროება). ერთი წლის განმავლობაში დახმარებას მიიღებს გორის მუნიციპალიტეტში 2021 წლამდე რეგისტრირებული პირი, რომელსაც შეუსრულდა 18 წელი და 2021 წლის 1 იანვრიდან გავიდა სახელმწიფო ზრუნვიდან. წლის განმავლობაში, ფსიქოთერაპიის კურსის გასავლელად, ერთჯერად დაფინანსებას 350 (სამასორმოდდათი) ლარის ოდენობით მიიღებს 18 წლამდე ძალადობის შედეგად ფსიქოთერაპიის საჭიროების მქონე ბავშვი (საჭიროების შემთხვევაში ოჯახთან ერთად), რომელიც რეგისტრირებულია 2021 წლამდე გორის მუნიციპალიტეტში. მიზანი - მზრუნველობასმოკლებული ბავშვების დაცვა.		
მოსალოდნელი შედეგი	უზრუნველყოფილია სახელმწიფო ზრუნვიდან გასული პირების/ბავშვების სოციალური დაცვა.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ერთჯერადი სოციალური (ფულადი) დახმარება	დაფინანსება ათ. ლარში
	06 02 19		145,3
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	გორის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამა ითვალისწინებს, გორის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ოჯახების დახმარებას, რომლებიც სოციალურ წესში გათვალისწინებულ არც ერთ კატეგორიას არ მიეკუთვნებიან და დახმარების თხოვნის მომენტში, სხვადასხვა მიზეზების გამო, განიცდიან უკიდურეს გასაჭირს. დახმარების ოდენობა განისაზღვრება სამუშაო ჯგუფის მიერ, არაუმეტეს 1500 (ერთი ათას ხუთასი) ლარის ოდენობით. მიზანი - სოციალურად დაუცველი, შეჭირვებული ადამიანების სოციალური პირობების გაუმჯობესება და ჯანმრთელობის პრობლემების მოგვარება.		
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალური სერვისით მოსარგებლე პირთა პირობების გაუმჯობესება.		

პროგრამის დასახელება	კოდი	სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის უზრუნველყოფა	დაფინანსება ათ. ლარში
	06 03		551,0
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ მიუსაფარი შინაური ცხოველების მართვის შიდა ქართლის ინტერმუნიციპალური სააგენტო		
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში ხდება მიუსაფარი შინაური ცხოველებთან ჰუმანური პრინციპებისა და მეთოდების გამოყენებით დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტა, როგორცაა: შემდგომი პროცედურების განხორციელების მიზნით შინაური ცხოველების დაჭერა და დროებით თავშესაფარში განთავსება, მათზე სათანადო ვეტერინარული ღონისძიებების განხორციელება: ექიმ-ვეტერინარის ან კინოლოგის/ფელინოლოგის მიერ ცხოველის ვიზუალური დათვალიერება-დაკვირვება, ცხოველის ბიომასალის ლაბორატორიული კვლევა, მკურნალობა, ვაქცინაცია, ოპერაციების ჩატარება, სიცოცხლესთან შეუთავსებელი მდგომარეობის მქონე ცხოველის ევთანაზია. მიზანი - ადამიანისა და შინაური ცხოველების უსაფრთხო თანაარსებობისათვის მდგრადი გარემოს შექმნა.		
მოსალოდნელი შედეგი	ადამიანისა და შინაური ცხოველების თანაარსებობისათვის შექმნილია უსაფრთხო გარემო.		

ქვეპროგრამის	კოდი	მიუსაფარი შინაური ცხოველების მართვის ხელშეწყობა	დაფინანსება
--------------	------	---	-------------

დასახელება		ათ. ლარში
	06 03 01	551,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ მიუსაფარი შინაური ცხოველების მართვის შიდა ქართლის ინტერმუნიციპალური სააგენტო	
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში ხდება მიუსაფარი შინაური ცხოველებთან ჰუმანური პრინციპებისა და მეთოდების გამოყენებით დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტა, როგორცაა: შემდგომი პროცედურების განხორციელების მიზნით შინაური ცხოველების დაჭერა და დროებით თავშესაფარში განთავსება, მათზე სათანადო ვეტერინარული ღონისძიებების განხორციელება: ექიმ-ვეტერინარის ან კინოლოგის/ფელინოლოგის მიერ ცხოველის ვიზუალური დათვალიერება-დაკვირვება, ცხოველის ბიომასალის ლაბორატორიული კვლევა, მკურნალობა, ვაქცინაცია, ოპერაციების ჩატარება, სიცოცხლესთან შეუთავსებელი მდგომარეობის მქონე ცხოველის ევთანაზია.</p> <p>მიზანი - ადამიანისა და შინაური ცხოველების უსაფრთხო თანაარსებობისათვის მდგრადი გარემოს შექმნა.</p>	
მოსალოდნელი შედეგი	უზრუნველყოფილია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის დაცვა და მიუსაფარი ცხოველების მართვა	

პროგრამული კოდი	დასახელება	2023 წელი
07 01	ადგილობრივი ეკონომიკური შესაძლებლობების გაძლიერება	910.3
07 01 01	ადგილობრივი ეკონომიკური შესაძლებლობების გაძლიერება გორში მდგრადი განვითარებისათვის	80.2
07 01 02	მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარება	830.2
07 02	მუნიციპალური ტრანსპორტის განვითარება	4,689.0
07 02 01	მუნიციპალური ტრანსპორტის ფუნქციონირების ხელშეწყობა	4,689.0
სულ		5,599.3
ეკონომიკური განვითარება		

პროგრამის დასახელება	კოდი	ადგილობრივი ეკონომიკური შესაძლებლობების გაძლიერება	დაფინანსება ათ. ლარში
	07 01		910,3
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების სააგენტო		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ეკონომიკის არსებული მდგომარეობის ანალიზი, განვითარების შესაძლებლობების და პრიორიტეტული მიმართულებების გამოვლენა; საპროექტო წინადადებების მომზადება საგრანტო კონკურსებში დაფინანსების მოპოვების მიზნით და პარტნიორული ურთიერთობების დამყარება ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული უძრავი ქონების საკადასტრო აზომვითი ნახაზების და შენობა-ნაგებობების ტექნიკური პასპორტების მომზადება, მიწის ნაკვეთის დაკვალვის სამუშაოების ჩატარება, სიტუაციური ნახაზების და თემატური გეოინფორმაციული რუკების მომზადება, დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში ტანისა და თემის დაცული ტერიტორიების შექმნა და მართვა.</p> <p>მიზანი - მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების მხარდაჭერა.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	საგრანტო კონკურსებში მოპოვებული გრანტები და მომზადებული უძრავი ქონების საკადასტრო აზომვითი ნახაზები და შენობა-ნაგებობების ტექნიკური პასპორტები.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ადგილობრივი ეკონომიკური შესაძლებლობების გაძლიერება გორში მდგრადი განვითარებისათვის	დაფინანსება ათ. ლარში
	07 01 01		80,2
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	გორის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცით მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია - ქ. გორში, სამეფო ქუჩის დასაწყისში, მდინარე მტკვარზე განთავსებული ხიდის რესტავრაცია-რეაბილიტაციის დასრულება.</p> <p>მიზანი - ტურიზმის განვითარება.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	ტურისტების გაზრდილი რაოდენობა.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	გორის მუნიციპალიტეტის განვითარებისა და ტანისა და თემის დაცული ლანდშაფტის მართვა	დაფინანსება ათ. ლარში
	07 01 02		830,2
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარებისა და ტანისა და თემის დაცული ლანდშაფტის მართვის სააგენტო		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ეკონომიკური, სოციალური და კულტურული განვითარების მხარდაჭერა, მუნიციპალიტეტის მერიის საკუთრებაში არსებული ან/და მერიისათვის საკუთრებაში გადმოსაცემად განსაზღვრული უძრავი ქონების საკადასტრო აზომვითი ნახაზების და შენობა-ნაგებობების ტექნიკური პასპორტების მომზადება, ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა და ტურიზმის ერთიანი პოლიტიკის ჩამოყალიბება, მდგრადი ტურიზმის ინდუსტრიის უზრუნველყოფა და მისი განვითარება. არსებული ტურისტული შესაძლებლობების გამოყენების მეშვეობით ტურისტების რაოდენობის ზრდის ხელშეწყობა, ტურისტული პოტენციალის წარმოჩენა/პოპულარიზაცია და ვიზიტორებისათვის მძლავრი ინფრასტრუქტურის შექმნა. ინვესტორების მოზიდვა, ტურიზმის სფეროში მოღვაწე ადგილობრივი კერძო სექტორისადმი დახმარება. სპორტული ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა; ფორმალური და არაფორმალური განათლების და სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება; ტანისა და თემის დაცული ლანდშაფტის უნიკალური ეკოსისტემის, ცალკეული ბუნებრივი კომპონენტების გადაგვარება-განადგურებისგან დაცვა; ტანისა და თემის დაცული ლანდშაფტის ეროვნული მემკვიდრეობის, ხუროთმოძღვრების ძეგლებისა და ისტორიულ-კულტურული ლანდშაფტის შენარჩუნება და მოვლა-პატრონობა; ტანისა და თემის დაცული ლანდშაფტში მალაღმთიანი ბუნებრივი და ისტორიულ-კულტურული ლანდშაფტის რესურსებზე მხარდი რეკრეაციული მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად საჭირო ინფრასტრუქტურის შექმნა; ტანისა და თემის დაცული ლანდშაფტის ტერიტორიაზე მართვის ორგანოს დავალებით ტყის აღრიცხვა, დაგეგმვა და მონიტორინგი, ტანისა და თემის დაცული ლანდშაფტის ეკოსისტემის და მის ფარგლებში გავრცელებული ცხოველთა და ველურ მცენარეთა სახეობების კონსერვაცია და აღდგენა; ტანისა და თემის დაცული ლანდშაფტში რეკრეაციულ-ტურისტული და საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელება და ტრადიციული სამეურნეო საქმიანობის ხელშეწყობა.</p> <p>მიზანი - მუნიციპალიტეტის ეკონომიკური, სოციალური და კულტურული განვითარების მხარდაჭერა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული უძრავი ქონების საკადასტრო აზომვითი ნახაზებისა და შენობა-ნაგებობების ტექნიკური პასპორტების მომზადება. ტანისა და თემის დაცული ლანდშაფტის მართვა.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	<p>შედეგი 1: შექმნილია პირობები მუნიციპალიტეტის ეკონომიკური შესაძლებლობების განვითარებისთვის;</p> <p>შედეგი 2: განხორციელებულია მოსახლეობის ჩართულობის ხელშეწყობის, სამოქალაქო საზოგადოების მხარდაჭერი სხვადასხვა ღონისძიებები, განხორციელებულია ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების, ახალგაზრდების განათლებისა და კომპეტენციების ამაღლების მხარდაჭერი ღონისძიებები.</p>		

პროგრამის დასახელება	კოდი	მუნიციპალური ტრანსპორტის განვითარება	დაფინანსება ათ. ლარში
	07 02		4 689,0
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის სააგენტო და ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სააგენტო		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>მუნიციპალური სატრანსპორტო ინფრასტრუქტურისა და სერვისის განვითარება.</p> <p>მიზანი - მუნიციპალური სატრანსპორტო სერვისის განვითარება და სატრანსპორტო მოძრაობის ორგანიზება.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ხელმისაწვდომია საზოგადოებრივი ტრანსპორტის მომსახურება და უზრუნველყოფლია მგზავრთა რეგულარული გადაყვანები.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	მუნიციპალური ტრანსპორტის ფუნქციონირების ხელშეწყობა	დაფინანსება ათ. ლარში
	07 02 01		4 689,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის სააგენტო		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	გორის მუნიციპალიტეტის ავტოტრანსპორტი მიმდინარე ეტაპზე უზრუნველყოფს მგზავრთა რეგულარულ გადაყვანას ქალაქის სხვადასხვა მიმართულებით და სამი სოფლის - ტინისხიდის, ორთაშენის და ბერბუკის მიმართულებით. წლის განმავლობაში სააგენტო		

	<p>უზრუნველყოფს დაახლოებით 960 000 მგზავრის გადაყვანას. შესაბამისად თვის განმავლობაში სააგენტოს მიერ მოსახლეობისადმი გაწეული მომსახურება შეადგენს საშუალოდ 110 000 მგზავრთბრუნვას. დაწესებულება მგზავრობის ფიქსირებული გადასახადი, რომლის ცვლილებას სააგენტო არ გეგმავს. არსებული ფინანსური გაანგარიშებით, სააგენტოს შემოსავლები არ არის საკმარისი მისი შეუფერხებელი მუშაობისათვის. საწვავისა და სათადარიგო ნაწილების ფასის მზარდი ტენდენციიდან გამომდინარე, შემოსავლები ხარჯებთან მიმართებაში უარყოფითია. ვიმედოვნებთ მგზავრობის ღირებულებით მიღებული შემოსავლებით და საბიუჯეტო სუბსიდირებით მოიხსნება არსებული პრობლემა.</p> <p>მიზანი - მუნიციპალური სატრანსპორტო სერვისის შეუფერხებელი ფუნქციონირების უზრუნველყოფა.</p>
მოსალოდნელი შედეგი	შექმნილია პირობები მუნიციპალური სატრანსპორტო სერვისის შეუფერხებელი და ეფექტური ფუნქციონირებისთვის.

მუხლი 14. გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები

განისაზღვროს გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით თანდართული რედაქციით:

(ათას ლარში)

ორგ. კოდი	დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის ფაქტი			2023 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
	გორის მუნიციპალიტეტი	63,476.5	76,760.4	12,846.2	63,914.2	106,107.9	17,060.6	89,047.3
	მომუშავეთა რიცხოვნობა	321.0	332.0	12.0	320.0	316.0	10.0	306.0
	ხარჯები	35,238.5	45,270.4	1,708.4	43,562.0	61,664.7	4,244.9	57,419.8
	შრომის ანაზღაურება	4,015.7	5,229.9	152.7	5,077.2	6,316.7	170.0	6,146.7
	არაფინანსური აქტივების ზრდა	27,848.2	31,069.6	11,137.8	19,931.8	42,133.2	12,815.7	29,317.5
	ვალდებულებების კლება	389.8	420.4	0.0	420.4	2,310.0	0.0	2,310.0
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	7,288.3	9,700.6	197.5	9,503.1	14,129.8	244.0	13,885.8
	მომუშავეთა რიცხოვნობა	321.0	332.0	12.0	320.0	316.0	10.0	306.0
	ხარჯები	6,854.4	8,963.8	197.5	8,766.3	11,183.6	244.0	10,939.6
	შრომის ანაზღაურება	4,015.7	5,229.9	152.7	5,077.2	6,316.7	170.0	6,146.7
	არაფინანსური აქტივების ზრდა	44.1	316.4	0.0	316.4	636.2	0.0	636.2
	ვალდებულებების კლება	389.8	420.4	0.0	420.4	2,310.0	0.0	2,310.0
01 01	საკანონმდებლო და აღმასრულებელი საქმიანობის უზრუნველყოფა	5,585.1	7,557.2	197.5	7,359.6	9,460.1	244.0	9,216.1
	მომუშავეთა რიცხოვნობა	321.0	317.0	10.0	307.0	316.0	10.0	306.0
	ხარჯები	5,541.1	7,240.8	197.5	7,043.3	8,848.1	244.0	8,604.1
	შრომის ანაზღაურება	4,015.7	5,229.9	152.7	5,077.2	6,316.7	170.0	6,146.7
	არაფინანსური აქტივების ზრდა	44.1	316.4	0.0	316.4	612.0	0.0	612.0
01 01 01	მუნიციპალიტეტის საკრებულო	1,085.1	1,460.6	0.0	1,460.6	1,708.1	0.0	1,708.1
	მომუშავეთა რიცხოვნობა	42.0	42.0	0.0	42.0	42.0	0.0	42.0
	ხარჯები	1,084.4	1,445.9	0.0	1,445.9	1,693.1	0.0	1,693.1
	შრომის ანაზღაურება	690.6	963.3	0.0	963.3	1,097.0	0.0	1,097.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.6	14.7	0.0	14.7	15.0	0.0	15.0
01 01 02	მუნიციპალიტეტის მერია	4,337.1	5,889.2	0.0	5,889.2	7,508.0	0.0	7,508.0

ორგ. კოდი	დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის ფაქტი			2023 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
	მომუშავეთა რიცხოვნობა	279.0	265.0	0.0	265.0	264.0	0.0	264.0
	ხარჯები	4,293.7	5,587.5	0.0	5,587.5	6,911.0	0.0	6,911.0
	შრომის ანაზღაურება	3,202.8	4,104.1	0.0	4,104.1	5,049.7	0.0	5,049.7
	არაფინანსური აქტივების ზრდა	43.4	301.6	0.0	301.6	597.0	0.0	597.0
01 01 03	სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახური	163.0	207.4	197.5	9.9	244.0	244.0	0.0
	მომუშავეთა რიცხოვნობა	0.0	10.0	10.0	0.0	10.0	10.0	0.0
	ხარჯები	163.0	207.4	197.5	9.9	244.0	244.0	0.0
	შრომის ანაზღაურება	122.3	162.5	152.7	9.9	170.0	170.0	0.0
01 02	საერთო დანიშნულების ხარჯები	1,382.9	2,067.8	0.0	2,067.8	4,524.6	0.0	4,524.6
	ხარჯები	993.1	1,647.4	0.0	1,647.4	2,190.4	0.0	2,190.4
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	24.2	0.0	24.2
	ვალდებულებების კლება	389.8	420.4	0.0	420.4	2,310.0	0.0	2,310.0
01 02 01	სარეზერვო ფონდი	0.0	0.0	0.0	0.0	102.6	0.0	102.6
	ხარჯები	0.0	0.0	0.0	0.0	97.4	0.0	97.4
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	5.2	0.0	5.2
01 02 02	წინა წლებში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფა	1,382.9	2,067.8	0.0	2,067.8	3,922.0	0.0	3,922.0
	ხარჯები	993.1	1,647.4	0.0	1,647.4	1,612.0	0.0	1,612.0
	ვალდებულებების კლება	389.8	420.4	0.0	420.4	2,310.0	0.0	2,310.0
01 02 03	გორის მუნიციპალური ინსპექციის ხელშეწყობა	0.0	0.0	0.0	0.0	500.0	0.0	500.0
	ხარჯები	0.0	0.0	0.0	0.0	481.0	0.0	481.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	19.0	0.0	19.0
01 03	საგანგებო მდგომარეობასთან და სადღესასწაულო დღეებთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსების უზრუნველყოფა	320.1	75.2	0.0	75.2	87.6	0.0	87.6
	ხარჯები	320.1	75.2	0.0	75.2	87.6	0.0	87.6
01 04	კადრების მომზადება-გადამზადება, კვალიფიკაციის ამაღლება და სტაჟირება	0.1	0.5	0.0	0.5	57.5	0.0	57.5
	ხარჯები	0.1	0.5	0.0	0.5	57.5	0.0	57.5
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	30,007.0	34,280.5	11,216.2	23,064.2	50,341.1	14,555.4	35,785.7
	ხარჯები	5,774.0	6,467.3	457.5	6,009.8	11,233.8	2,042.3	9,191.6
	არაფინანსური აქტივების ზრდა	24,233.0	27,813.1	10,758.7	17,054.4	39,107.3	12,513.2	26,594.2
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	12,309.7	17,201.4	6,542.8	10,658.5	26,168.1	8,219.3	17,948.8
	ხარჯები	869.2	443.7	0.0	443.7	1,972.0	0.0	1,972.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	11,440.6	16,757.7	6,542.8	10,214.9	24,196.2	8,219.3	15,976.9

ორგ. კოდი	დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის ფაქტი			2023 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
02 01 01	გზების მოვლა-შენახვა	760.3	325.9	0.0	325.9	1,764.6	0.0	1,764.6
	ხარჯები	760.3	325.9	0.0	325.9	1,764.6	0.0	1,764.6
02 01 02	გზების მშენებლობა და რეაბილიტაცია	11,457.2	16,757.7	6,542.8	10,214.9	23,470.1	8,219.3	15,250.8
	ხარჯები	48.8	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	11,408.3	16,757.7	6,542.8	10,214.9	23,470.1	8,219.3	15,250.8
02 01 03	საგზაო ნიშნებისა და მონიშვნების მოწყობა	66.0	72.3	0.0	72.3	239.1	0.0	239.1
	ხარჯები	60.0	72.3	0.0	72.3	112.4	0.0	112.4
	არაფინანსური აქტივების ზრდა	6.0	0.0	0.0	0.0	126.7	0.0	126.7
02 01 04	გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოსაწყობი ვიდეო სამეთვალყურეო სისტემის შემენა	26.3	45.5	0.0	45.5	694.4	0.0	694.4
	ხარჯები	0.0	45.5	0.0	45.5	95.0	0.0	95.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	26.3	0.0	0.0	0.0	599.3	0.0	599.3
02 02	გარე განათება	2,084.0	3,532.0	0.0	3,532.0	2,852.6	0.0	2,852.6
	ხარჯები	1,732.4	2,014.1	0.0	2,014.1	2,105.0	0.0	2,105.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	351.5	1,517.9	0.0	1,517.9	747.6	0.0	747.6
02 02 01	გარე განათების ქსელის მოვლა-შენახვა	282.2	361.2	0.0	361.2	345.0	0.0	345.0
	ხარჯები	282.2	361.2	0.0	361.2	345.0	0.0	345.0
02 02 02	გარე განათების ელექტროენერგიის ღირებულება	1,450.2	1,652.9	0.0	1,652.9	1,760.0	0.0	1,760.0
	ხარჯები	1,450.2	1,652.9	0.0	1,652.9	1,760.0	0.0	1,760.0
02 02 03	გარე განათების ქსელის მოწყობა-რეაბილიტაცია	351.5	1,517.9	0.0	1,517.9	747.6	0.0	747.6
	არაფინანსური აქტივების ზრდა	351.5	1,517.9	0.0	1,517.9	747.6	0.0	747.6
02 03	წყლის სისტემის განვითარება	7,616.6	6,393.5	2,971.2	3,422.3	5,316.0	2,072.6	3,243.4
	ხარჯები	1,145.0	1,380.0	0.0	1,380.0	1,392.0	0.0	1,392.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	6,471.6	5,013.5	2,971.2	2,042.3	3,924.0	2,072.6	1,851.4
02 03 01	სასმელი წყლის სისტემების რეაბილიტაცია	5,284.7	4,757.3	2,929.6	1,827.7	3,917.7	2,072.6	1,845.1
	ხარჯები	28.5	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	5,256.1	4,757.3	2,929.6	1,827.7	3,917.7	2,072.6	1,845.1
02 03 02	სასმელი წყლის ღირებულების ანაზღაურება	315.9	358.9	0.0	358.9	260.0	0.0	260.0
	ხარჯები	315.9	358.9	0.0	358.9	260.0	0.0	260.0
02 03 03	წყლის სისტემების მოვლა-კატრონობა	760.6	1,016.1	0.0	1,016.1	1,094.4	0.0	1,094.4
	ხარჯები	757.6	988.6	0.0	988.6	1,091.4	0.0	1,091.4
	არაფინანსური აქტივების ზრდა	3.0	27.5	0.0	27.5	3.0	0.0	3.0
02 03 04	საკანალოზაციო და სანიაღვრე სისტემის მოწყობა და რეაბილიტაცია	1,172.5	95.5	41.6	53.9	42.4	0.0	42.4

ორბ. კოდი	დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის ფაქტი			2023 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
	ბარჯები	43.0	32.4	0.0	32.4	40.6	0.0	40.6
	არაფინანსური აქტივების ზრდა	1,129.5	63.0	41.6	21.5	1.8	0.0	1.8
02 03 05	სარწყავი არხების მოწყობა-რეაბილიტაცია	83.0	165.6	0.0	165.6	1.4	0.0	1.4
	არაფინანსური აქტივების ზრდა	83.0	165.6	0.0	165.6	1.4	0.0	1.4
02 04	საბინაო ფონდის განვითარებისა და ინფრასტრუქტურული პროექტების თანადაფინანსება	355.3	494.5	0.0	494.5	4,715.6	1,800.0	2,915.6
	ბარჯები	352.5	494.5	0.0	494.5	4,581.7	1,800.0	2,781.7
	არაფინანსური აქტივების ზრდა	2.8	0.0	0.0	0.0	133.9	0.0	133.9
02 04 01	ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების და ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მესაკუთრეთა გაერთიანებების თანადაფინანსება	304.9	457.4	0.0	457.4	2,731.0	0.0	2,731.0
	ბარჯები	304.9	457.4	0.0	457.4	2,731.0	0.0	2,731.0
02 04 02	ინფრასტრუქტურული პროექტების თანადაფინანსება	50.4	37.1	0.0	37.1	184.6	0.0	184.6
	ბარჯები	47.6	37.1	0.0	37.1	50.7	0.0	50.7
	არაფინანსური აქტივების ზრდა	2.8	0.0	0.0	0.0	133.9	0.0	133.9
02 04 03	გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ზარდიაანთკარში 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შედეგად დაზიანებული საცხოვრებელი სახლების აღდგენა	0.0	0.0	0.0	0.0	1,800.0	1,800.0	0.0
	ბარჯები	0.0	0.0	0.0	0.0	1,800.0	1,800.0	0.0
02 05	კეთილმოწყობა, სარეკრეაციო და სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარება	2,779.6	2,685.2	0.0	2,685.2	3,471.3	249.6	3,221.7
	ბარჯები	1,428.2	1,639.1	0.0	1,639.1	922.4	0.0	922.4
	არაფინანსური აქტივების ზრდა	1,351.4	1,046.0	0.0	1,046.0	2,548.9	249.6	2,299.3
02 05 01	სკვერების, პარკების და გაზონების რეაბილიტაცია	1,017.1	1,162.4	0.0	1,162.4	370.6	0.0	370.6
	ბარჯები	553.1	907.3	0.0	907.3	0.0	0.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	464.0	255.0	0.0	255.0	370.6	0.0	370.6
02 05 02	სპორტული მოედნების მოწყობა და რეაბილიტაცია	651.6	368.2	0.0	368.2	473.6	0.0	473.6
	არაფინანსური აქტივების ზრდა	651.6	368.2	0.0	368.2	473.6	0.0	473.6
02 05 03	მუნიციპალური შენობების რეაბილიტაცია	313.7	425.1	0.0	425.1	1,440.5	0.0	1,440.5
	ბარჯები	87.9	2.3	0.0	2.3	2.5	0.0	2.5
	არაფინანსური აქტივების ზრდა	225.8	422.8	0.0	422.8	1,438.0	0.0	1,438.0
02 05 04	კეთილმოწყობის ღონისძიებები	691.4	623.5	0.0	623.5	698.0	0.0	698.0
	ბარჯები	691.4	623.5	0.0	623.5	696.9	0.0	696.9
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	1.1	0.0	1.1
02 05 06	საახალწლოდ ქალაქგაფორმება	95.8	106.0	0.0	106.0	223.0	0.0	223.0
	ბარჯები	95.8	106.0	0.0	106.0	223.0	0.0	223.0
02 05 07	მოსადგელების მოწყობა	10.0	0.0	0.0	0.0	256.6	249.6	7.0

ორგ. კოდი	დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის ფაქტი			2023 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
	არაფინანსური აქტივების ზრდა	10.0	0.0	0.0	0.0	256.6	249.6	7.0
02 05 08	სასაფლაოების შემოღობვა	0.0	0.0	0.0	0.0	8.9	0	8.9
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	8.9	0.0	8.9
02 06	ინფრასტრუქტურული პროექტების მომსახურების უზრუნველყოფა	814.5	789.7	0.0	789.7	2,389.0	475.0	1,914.1
	ზარკები	0.0	35.5	0.0	35.5	0.0	0.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	814.5	754.2	0.0	754.2	2,389.0	475.0	1,914.1
02 06 01	საპროექტო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურება	554.3	457.7	0.0	457.7	1,315.2	0.0	1,315.2
	ზარკები	0.0	3.5	0.0	3.5	0.0	0.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	554.3	454.2	0.0	454.2	1,315.2	0.0	1,315.2
02 06 02	დეფექტური აქტების, პროექტების და ხარჯთაღრიცხვების მომსახურების დაფინანსება	260.2	332.0	0.0	332.0	357.8	0.0	357.8
	ზარკები	0.0	32.1	0.0	32.1	0.0	0.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	260.2	300.0	0.0	300.0	357.8	0.0	357.8
02 06 03	სპეციალური დანიშნულების ინვენტარის და სატრანსპორტო საშუალებების შეძენა	0.0	0.0	0.0	0.0	716.0	475.0	241.1
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	716.0	475.0	241.1
02 07	სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტები	1,555.7	1,521.4	1,521.4	0.0	2,172.2	1,739.0	433.2
	ზარკები	0.0	276.7	276.7	0.0	260.7	242.3	18.5
	არაფინანსური აქტივების ზრდა	1,555.7	1,244.7	1,244.7	0.0	1,911.5	1,496.8	414.7
